საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 78 (622) პარასკევი, 16 აპრილი, 1993 წელი ფასი 5 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობებს, რომ 14 აპრილს შუადღისათვის მოწინააღმდეგემ კვლავ დაუშინა საარტილერიო ცეცხლი ქალაქ სოხუმს. 12 ჭურვი აფეთქდა ქალაქის ცენტრალურ რაიონში. მნიშვნელოვნად დაზიანდა რამდენიმე შენობა. დაიღუპა ერთი მოქალაქე — 67 წლის დოლა თარბა და დაიჭრა 6.

საპასუხო საარტილერიო ცეცხლის გახსნის შემდეგ მოწინააღმდეგემ ქალაქის დაბომბვა შეწყვიტა.

18 საათისათვის მდინარე გუმისთაზე მოწინააღმდეგე კვლავ გააქტიურდა და ცეცხლი დაუშინა ჩვენს პოზიციებს. ძირითადად ისროდნენ ნაღმსატყორცნებიდან და ყუმბარმტყორცნებიდან, იყენებდნენ მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევებსა და სხვა ავტომატურ იარაღს.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოწინააღმდეგეს ცეცხლითვე უპასუხეს. პოზიციური ბრძოლა 22 საათამდე გაგრძელდა. შემდეგ კი თითქმის მთლიანად შეწყდა.

იოსებ ბოკერია.

●

გუშინ დილიდან კვლავ ისმოდა ქვემეხების გრგვინვის ხმა მდინარე გუმისთის მხრიდან. ქართველთა ჯარების საპასუხო ცეცხლის შემდეგ აფხაზთა მხარემ შეწყვიტა სროლა. გუშინ კი პოზიციური ბრძოლები 22 საათამდე გრძელდებოდა, რის შემდეგაც ღამე მდინარე გუმისთაზე და ქალაქის მიდამოებში შედარებით მშვიდი იყო.

●

არმიის მეორე კორპუსის სარდლობის განცხადება

არაერთგზისი გაფრთხილების მიუხედავად გუდაუთის სამხედრო დაჯგუფება განაგრძობს ქალაქ სოხუმის დაბომბვას და ცეცხლს უშენს მის საცხოვრებელ უბნებს. ბომბების და ჭურვების დაშენის შედეგად დაინგრა 800-ზე მეტი სახლი და სახელმწიფო დაწესებულება, მათ შორის აეროპორტი, საზღვაო სადგური, რკინიგზის სადგური, წყლის გადასატუმბავი და ელექტრომომარაგების სადგურები. დაიღუპა 115 მშვიდობიანი მცხოვრები.

არმიის მეორე კორპუსის სარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება, მსგავსი ბარბაროსული აქციის აღკვეთის მიზნით საპასუხო დარტყმა მიაყენოს დიდი შეიარაღებული ფორმირებების დისლოკაციის ადგილებს, რადგანაც მათი მიზეზით იღუპება მოსახლეობა და ინგრევა ქალაქი სოხუმი.

მთელ პასუხისმგებლობას იძულებითი ადეკვატური ღონისძიებებისათვის არმიის მეორე კორპუსის სარდლობა აკისრებს გუდაუთის სეპარატისტებს და მათს დაქირავებულებს, რომლებმაც ყურად არ იღეს გონების ხმა, კვლავაც სპობენ ქართველ მშრომელთა მარჯვენით შექმნილ ღირებულებებს.

ვის მივანდობთ ბედს?!

გუშინდელი სხდომის დაწყებისას ბატონი სპიკერის მუდარა — მოდით, ბოლოს და ბოლოს შევქმნათ პრეცედენტი და მუშაობა პირდაპირ დღის წესრიგით დავიწყოთ — მყისვე დაიბლოკა. ბატონმა რეზო ჭადარიძემ მოითხოვა და მას მხარი ბევრმა კოლეგამ დაუჭირა — პარლამენტმა დრო დაუთმოს აჭარაში რამდენიმე დეპუტატის, ფრაქცია „რესპუბლიკელის" წევრების თავს გადამხდარ ინციდენტზე საუბარს. იყო სხვა წინადადებებიც. კვლავ ბატონი ვახტანგ გოგუაძის თხოვნა: სხდომაზე მოუმზადებელი საკითხების გამოტანას ნუ შემოგვთავაზებთ. თუ თქვენივე არჩეული კოლეგიის არ გჯერათ, ერთხელ და სამუდამოდ უნდობლობა გამოუცხადეთ ხმამაღლა, ოფიციალურად და ამით მოვათავოთო.

თუმცაღა, ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც დღის წესრიგის პირველ საკითხზე („დადგენილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის სავალდებულოდ აღიარების შესახებ") — კათედრაზე მოხსენებისათვის ავიდა პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი, ბატონმა სპიკერმა ხაზი გაუსვა, რომ სხდომა კანონმდებლობითი საკითხის განხილვით იწყება და ეს უკვე გარკვეული წინგადადგმული ნაბიჯია.

განხილვას დიდი დებატები არ გამოუწვევია და იგი ერთსულოვნად მიიღეს, რასაც ვერ ვიტყვით მეორე საკითხის — „საქართველოს რესპუბლიკის კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის საფუძვლების შესახებ"— განხილვაზე, რომელიც პარლამენტს ხელისუფლებისა და მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოთა რეფორმების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი შენგელიამ წარუდგინა.

ჭირ იყო და, ბატონ სპიკერს დიდი ჯაფა დაადგა დეპუტატთათვის იმის ასახსნელად, რომ შეკითხვა მომხსენებლის მისამართით სხვა არის და აზრის გამოთქმა — სხვა. შემდეგ კი სიტყვაში გამოსვლის მსურველი იმდენი აღმოჩნდა, პარლამენტის ერთი კი არა, რამდენიმე სესია არ ეყოფოდა.

საკითხისადმი ასეთი ყურადღება არც მოულოდნელია და არც ალოგიკური. სწორედ — პირიქით. ქაოსსა და ანარქიაში ჩავარდნილი ქვეყანა ნელ-ნელა ხომ უნდა შედგეს ნორმალურ ლიანდაგზე, ხომ უნდა გაიმართოს მართვის სტრუქტურები, ხოლო იმაზე, თუ რა კანონს დაუდებს დღეს ამ სამომავლო სტრუქტურებს ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ჩვენი ხვალინდელი დღე.

პარლამენტმა ორიოდე კვირის წინათ იმსჯელა ამ საკითხზე. მაშინაც უამრავი აზრი გამოითქვა, რომელთა შეჯერებით და ანალიზით შემუშავებულ იქნა კანონის პროექტის ეს ვარიანტი.

საქართველოს პარლამენტის სადაგი დღეები

განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება რამდენიმე მომენტზე. კერძოდ რაიონებში პირველი პირისათვის (ასე ვუწოდოთ პირობითად, რას დავარქმევთ მომავალში მას, გამგებელს, მამასახლისს თუ სხვა რამეს, შევთანხმდებით) მისანიჭებელი უფლებების და მათივე დამცავი მექანიზმის შემუშავების თაობაზე. აღინიშნა ამ საკითხის ორი მხარე. ერთი, რომ სწორედ კანონმა უნდა აღკვეთოს ძირშივე მათი გამინიდიქტატორობის შესაძლებლობა და მეორე: იგივე კანონი უნდა შეიცავდეს მათს დამცავ მექანიზმს, რომ, ვთქვათ, რამდენიმე, ერთი მიზნით გაერთიანებული ადამიანის სურვილი საკმარისი არ აღმოჩნდეს მისი თანამდებობიდან გადაყენებისათვის. დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი ვერსია ორივე მხარეს კარგად ამთლიანებს. ლია ცინდელიანმა კომისიას მადლობაც კი მოახსენა ამ პუნქტის აგრე კარგად გამართვისათვის, რადგან ადამიანთა ბედი უნდა მართოს არა მარტო ადამიანმა, არამედ უპირველესად სრულყოფილმა კანონმა.

ზოგიერთმა გამომსვლელმა ეჭვქვეშ დააყენა თვით არჩევნების საკითხიც ამ ქაოტურ სიტუაციაში, უმჯობესი იქნებოდა ადგილებზე ხელმძღვანელთა ცენტრიდან დანიშვნა და არა არჩევაო.

საკამათოდ იქცა არჩევნების სისტემაც. ზოგის აზრით პირველი პირი პირდაპირი და საყოველთაო არჩევნებით უნდა აირჩეს, ზოგი კი ორსაფეხურიანს ამჯობინებს, ესე იგი ხალხი აირჩევს ეგრეთ წოდებულ ერობას, იმ გუნდს, რომელმაც ფაქტობრივად უნდა მართოს რაიონი, ხოლო ერობა თვითონ აირჩევს გამგებელს თუ მამასახლისს.

თავის გამოსვლაში სახელმწიფოს მეთაურმა უპირატესობა პირდაპირ, საყოველთაო არჩევნებს მიანიჭა — ხალხმა უკეთ იცის, ვის ენდობა და გაჰყვებაო. გამოსვლა კი ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ შეკითხვით დაიწყო — არის თუ არა დღევანდელი ხელისუფლება მზად იმისათვის, რომ დანიშნოს ადგილებზე მმართველები? და თავადვე უპასუხა — არა! ეს ხალხსა და ხელისუფლებას შორის უნდობლობის, განხეთქილების გაღრმავების მიზეზად შეიძლება იქცეს. დაე, მათ თავად გადაწყვიტონ ვის ანდობენ თავიანთ ბედს. მანვე გაუსვა ხაზი, რომ ადგილებზე რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა უნდა მივანიჭოთ ხელმძღვანელებს. საამისო ფორმები უნდა გამოინახოს.

კანონი 24-ე და 42-ე მუხლების გარეშე იქნა მიღებული პირველი წაკითხვით.

საღამოს სხდომებზე მოისმინეს სახელმწიფოს მეთაურის ინფორმაცია უკრაინაში მისი ვიზიტის და პრემიერ-მინისტრის თენგიზ სიგუას მოხსენება ქ. სოჭში გამართული საქართველო-რუსეთის მოლაპარაკების შესახებ.

გალინა ხარებაშვილი,
„სრ" საპარლამენტო კორესპონდენტი.

აქტუალური ინტერვიუ

რას აძლევს საქართველოს უკრაინასთან თანამშრომლობა?

ამომწურავ პასუხს ამ კითხვაზე გასცემს თვით ცხოვრება. მაგრამ დღეს, საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის ვიზიტის, იქ დადებული შეთანხმებების ცხელ კვალზე თავის აზრს გვიზიარებენ რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები.

ნუგზარ ჯიჯია, საქართველოს ეროვნული ბანკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი:

— უკრაინის ეროვნულ ბანკთან მიღწეულია შეთანხმება საქართველოსათვის ფრიად ხელშემწყობი 30 მილიარდი მანეთი ტექნიკური კრედიტის გამოყოფის შესახებ 1994 წლის დამლევამდე პერიოდისათვის. უახლოეს დღეებში იგი უნდა დაამტკიცოს მეზობელი ქვეყნის მთავრობამ, რის შემდეგაც ის ძალაში შევა.

საგულისხმოა, რომ რუსეთთან ანალოგიური შეთანხმებისაგან განსხვავებით, რომელიც მზადდება, კიევში დაიდო ხელშეკრულება უპროცენტო კრედიტის თაობაზე. 1994 წლის 15 აპრილამდე იგი უნდა დაიფაროს ჩვენს რესპუბლიკაში წარმოებული და აქედან გაგზავნილი პროდუქციის ხარჯზე. და თუ ეს გათვალისწინებულ ვადაში არ მოხდა, მხოლოდ მაშინ იქნება კრედიტი გადაფორმებული, როგორც საქართველოს სახელმწიფო ვალი და დაიფარება ან რუსეთის მანეთებით, ანდა ამერიკის შეერთებული შტატების დოლარებით.

ვფიქრობ, კრედიტი უნდა გამოვიყენოთ უწინარესად ამჟამად საქართველოსათვის ესოდენ საჭირო ხორბლის, ფქვილის, სამრეწველო ნედლეულის შესასყიდად.

გიზო გელეიშვილი, საქართველოს მრეწველობის მინისტრი:

— კიევში დადებულ ეკონომიკურ შეთანხმებათა პაკეტი ხელს უწყობს ევროპის ერთ-ერთ უდიდეს ქვეყანასთან საქართველოს სამეურნეო კავშირურთიერთობის აღდგენას. ჩვენი მრეწველობა, კერძოდ, მიიღებს შესაძლებლობას დაძლიოს იზოლაცია, ფაქტობრივად მას ენიჭება უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი. ყოველ შემთხვევაში, 1993 წელს ორი ჩვენი ქვეყნის სამრეწველო საქონელბრუნვის მოცულობა შეადგენს 10 მილიარდ მანეთს.

მალე გაიხსნება და ამოქმედდება ტექნიკური კრედიტი, რომელიც უკრაინამ მოგვცა, და მაშასადამე, განახლდება საბანკო ანგარიშსწორებების, ჩვენი საწარმოების თანამშრომლობის პრაქტიკა. ეს განსაკუთრებით საჭიროა ისეთი ქარხნებისათვის, როგორიც არის თბილისის ელმავალსაშენებელი, რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო და მთელი რიგი სხვა ქარხნები. უკრაინიდან ჩვენ მივიღებთ მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკურ პროდუქციას, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმს. მიწოდებათა განსახორციელებლად ნავარაუდევია მაქსიმალურად ავამოქმედოთ საზღვაო ფლოტი ფოთი-ილიჩევსკის ხაზზე.

ვილენ ალავიძე, საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრის მოადგილე:

— კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს შორის უკრაინიდან საქართველოში მიღებული საქონლის ხვედრითი წილი შეადგენს საერთო მოცულობის 10 პროცენტზე მეტს, ხოლო ზოგიერთი მნიშვნელოვანი სახეობის პროდუქციის მიხედვით, როგორიც არის, მაგალითად, ქიმიური, ლითონპროდუქცია, უფრო მეტსაც.

კიევში ხელმოწერილია ხელშეკრულება ჩვენი რესპუბლიკისათვის 14 ათასი ტონა შაქრის, 3,5 ათასი ტონა ხორცისა და ხორცის პროდუქტების, 10 მილიონი ცალი კვერცხის, 53 ათასი ტონა რძისა და რძის პროდუქციის მოწოდების შესახებ. გარდა ამისა, ხელშეკრულებით გათვალისწინებულია უკრაინიდან მივიღოთ 1500 ერთეული სატვირთო და მსუბუქი ტრანსპორტი, მნიშვნელოვანი რაოდენობის ტრაქტორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, საშენი მასალები, მსუბუქი მრეწველობისათვის საჭირო პროდუქცია, სახალხო მოხმარების საქონელი.

სანაცვლოდ საქართველო გაგზავნის თავის პროდუქციას: ელექტროტექნიკურს, აგროსამრეწველო კომპლექსისათვის საჭირო მოწყობილობას, ჩაის, ღვინოს, მინერალურ წყლებს, კონსერვებს.

ირაკლი მენაღარიშვილი, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი:

— უკრაინა სამკურნალწამლო პრეპარატების ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელია. ჩვენთან კი ფარმაკოლოგიური ინდუსტრია ძალზე სუსტად არის განვითარებული, და, სამწუხაროდ, საქართველოში მწვავედ დგას საჭირო წამლებით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემა. დეფიციტი დღითიდღე იზრდება. იმედი გვაქვს, რომ უკრაინელი მეგობრების დახმარებით მნიშვნელოვანწილად გამოვასწორებთ მდგომარეობას ამ დიდ საქმეში.

უნდა ითქვას, რომ უკრაინაში ბევრი რამ ახალი და პროგრესული გაკეთდა ჯანმრთელობის სამსახურის ორგანიზაციაში, აქტიურად ინერგება საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება და აქ ჩვენ შევძლებთ ბევრი რამ სასარგებლო და საინტერესო შევიძინოთ.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვაში მზადდება სერიოზული რეფორმა, წყდება სადაზღვევო მედიცინაზე გადასვლის საკითხი და ა. შ.

რა აფერხებს ეკონომიკურ რეფორმას?

— **დიდი** დრო დაიკარგა ფუჭად, — მიაჩნია საქართველოს ვიცე-პრემიერს **ავთანდილ მარგიანს,** — 1990 წლის შემოდგომიდან, უფრო ადრეც თუ არა, საქართველო, მისი ეკონომიკა უაზროდ ინგრეოდა. რეფორმათა განხორციელების, საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის მეტნაკლებად გააზრებული გზა განისაზღვრა შედარებით ამ ცოტა ხნის წინათ. მას შეიძლება დაუწოდოთ ქართული ვარიანტი, მაგრამ იგი ითვალისწინებს გამოცდილებასაც, ვთქვათ, ჩინეთისას. აბა დაუკვირდით, წმინდა კომუნისტური წყობილების ასეთმა უზარმაზარმა ქვეყანამ როგორ დაიწყო თანდათანობით ცხოვრება საბაზრო ეკონომიკის კანონებით.

თვითკრიტიკულად უნდა ვაღიაროთ, რომ პრობლემათა ნაწილს თავადვე ვქმნით, რომლებიც გამომდინარეობენ ჩვენი ხასიათის თავისებურებიდან. სამწუხაროდ, მრავალ ჩვენს ეკონომისტსაც ახასიათებს ის სიჯიუტე, რომ მხოლოდ საკუთარი აზრი მიაჩნიათ უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებად. ხელს გვიშლის არა იმდენად ომი, რამდენადაც ჩვენი დაქსაქსულობა, და ეს ჩვენს მეცნიერებაზეც ითქმის. სახელმწიფომ თავად უნდა მოუყაროს არსებულ რესურსებს, ინტელექტუალურ პოტენციალს საბაზრო ურთიერთობაზე სწრაფი გადასვლისათვის.

— „ავი ენები" ამტკიცებენ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ დაწყებულა ეკონომიკური რეფორმები და უფრო ფარული პრივატიზაცია მიმდინარეობს...

— რატომ... განა არ მოხდა ფასების ლიბერალიზაცია, სატრანსპორტო საშუალებების, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების საჯარო და ღია პრივატიზაცია? და საერთოდ, განა შეიძლება მიწის ფარული პრივატიზაცია? ასეთი რამ მაინც არ დაიმალება. თუმცა, ისიც უნდა დავუშვათ, რომ შეიძლება ხორციელდება კომბინაციები კულისებს მიღმა, არიან ცრუმაგიერი პირები ვაჭრობის ზოგიერთი ობიექტის პრივატიზაციისას.

ისე კი, საერთო საზომით თუ მივუდგებით, ჩვენი ეროვნული დოვლათი შექმნა ხალხმა საუკუნეთა განმავლობაში და დაუშვებელია, რომ იგი უგუნურად გავანიავოთ. იგივე ფაბრიკებმა და ქარხნებმა, თუკი ისინი შემთხვევითი ადამიანების ხელში მოხვდებიან, შეიძლება კიდევ უფრო გაართულონ წარმოების პროცესი, გამოიწვიონ სოციალური აფეთქება.

— როგორ ფიქრობთ, მაინც, რა არის გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან?

— უნდა განმტკიცდეს სახელმწიფო, პირადი დისციპლინა, ქვეყნის ყოველი მოქალაქის პასუხისმგებლობის გრძნობა. ყველა უნდა ჩავუფიქრდეთ იმას, თუ რა დაატყდა თავს ჩვენს საქართველოს. დიახ, ჩვენ მივიღეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ აქამდე ვერა და ვერ მოვახერხეთ გავეაზრებინა ჩვენი უფლება-მოვალეობანი. განა სტუმართმოყვარეობით განთქმული ჩვენი წინაპრები ამერიკიდან ან ჩინეთიდან ჩამოტანილ ხორაგს მიირთმევდნენ? არა, მათ თავად მოჰყავდათ ყურძენი, ხორბალი, ზრდიდნენ პირუტყვს.

საჭიროა საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა, დროა, უარი ვთქვათ ცხოვრებისადმი მუშტრულ დამოკიდებულებაზე. ყოველი შრომისუნარიანი ადამიანი უნდა ფიქრობდეს პირად აღმშენებლობით მონაწილეობაზე ისეთ საქმეში, რომლის შესრულებაც ძალუძს. რა თქმა უნდა, საქმე არ ეხება ძალდატანებით და იძულებით შრომას შახტებსა და ზვრებში. მაგრამ, დამეთანხმებით, გულგრილად ვერ შეხედავ კაცი იმას, როცა დაძაბუნებული მოხუცი სამუშაოდ გადის მინდვრად, უსაქმურობით გამოთაყვანებული ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდები კი მზეს მიფიცხებიან ან უმიზნოდ დაეხეტებიან აქეთ-იქით.

— ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ შიმშილის საფრთხეზე, თუმცა, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ეს საფრთხე უკვე კარს მოგვადგომია..

— უნდა შევიგნოთ, რომ ნორმალური ადამიანისათვის შრომა ისეთივე მოვალეობაა, როგორც სამშობლოს დაცვა. ჩვენ კვლავ უნდა ვისწავლოთ საკუთარი თავის რჩენა. აი, მაგალითად, გრძელდება მიწის ნაკვეთის გამოყოფა თბილისელების, რუსთაველებისათვის. ყოველ ოჯახს ხომ შეუძლია საკუთარ ნაკვეთზე მოიწიოს თუნდაც ბოსტნეული, მწვანილი, ხილი.

რა თქმა უნდა, შემდგომშიც უნდა სრულვყოთ ეკონომიკური რეფორმის სამართლებრივი, საკანონმდებლო ბაზა. ამისათვის პარლამენტს გააჩნია საკმაო ინტელექტუალური პოტენციალი.

ზურაბ ბრძელიშვილი.

ი. თარბა: „იგი ჭურვის აფეთქებით დაიღუპა"

ინტერვიუ პროგრამა „მაცნეს" 1993 წლის 14 აპრილს

კითხვა: ჩვენ მოვედით კიევში გავრცელებული წერილის გამო, თითქოს ეთერ კოღონია გარდაცვლილა არა ტრაგიკული შემთხვევის შედეგად, არამედ იგი შეურაცხყვეს და მოკლეს გვარდიელებმა. ამის თაობაზე არც კი ვაპირებდით შეკითხვა დაგვესვა კაცისათვის, რომელმაც დიდი მწუხარება გადაიტანა, დაკარგა მეგობარი, მეუღლე... მაგრამ გარემოებანი მოითხოვს ვიცოდეთ მისი აზრი ამ ბინძური წერილის შესახებ.

თარბა: საშინელი ომი არ ინდობს არც დამნაშავეებს, არც უდანაშაულოებს, ადამიანი მწყობრიდან გამოჰყავს, ართმევს ყველაზე ძვირფასს — სიცოცხლეს. მე უდიდეს მწუხარებას განვიცდი. დავკარგე ერთგული მეგობარი, ნიჭიერი მსახიობი, მთარგმნელი, საზოგადო მოღვაწე, და რაც მთავარია, იგი იყო ჩემი ცხოვრების მეგობარი, და ჩვენ სიამტკბილობით ვცხოვრობდით, ვემსახურებოდით ჩვენს კულტურას.

ცეცხლი დაუშინეს სახლს, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ჭურვის ნამსხვრევებმა ხელ-ფეხი მოწყვიტა ჩემს ცოლს, და იგი დაიღუპა.

რაც შეეხება წერილს, რომელიც უკრაინაში გავრცელდა: ეს მკრეხელობაა. ჩემი აზრით, ამაზე პოლიტიკის აგება, მეტი რომ არა ვთქვა, არაჰუმანურია, არაადამიანურია. მე უბედურება დამატყდა თავს. იგი დაიღუპა ჭურვის აფეთქების შედეგად. ის იჯდა ეზოში თავის მეგობრებთან ერთად, კითხულობდა გაზეთს და დაიღუპა ჭურვის აფეთქების შედეგად.

მე არავითარი წერილი არ დამიწერია და არც ვაპირებ დაწერას. მწუხარებას განვიცდი: რა წერილი, რის წერილი?! მისთვის ხელი, თითი არავის დაუკარებია. მას მოხვდა დაუნდობელი იარაღი, რომელიც მრავალს ართმევს სიცოცხლეს.

კატეგორიულად უარვყოფ ამ ცილისწამებას და პროტესტს ვაცხადებ მისი გავრცელების წინააღმდეგ.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

„კონტაქტი" გვატყობინებს

მტერი კი ხითხითებს!..

საინფორმაციო სააგენტო „კონტაქტის" ცნობით, ორი დღის მანძილზე გუდაუთის პრესამ და რადიომ გახარებულებმა აუწყეს მსოფლიოს, რომ დასავლეთ საქართველოში დაიწყო დაპირისპირება ყოფილ პრეზიდენტის მომხრეებსა და რესპუბლიკის ხელისუფლებას შორის. გუდაუთის სეპარატისტთა ე. წ. თავდაცვის სამინისტრო რუსეთში მოსყიდული საინფორმაციო სამსახურების მეშვეობით აღფრთოვანებული იუწყება, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მოლაპარაკებამ სამეგრელოში განლაგებული შეიარაღებული ფორმირებების ლიდერებთან, შედეგი არ გამოიღო.

სამეგრელოს ხალხი, იგნორებს გუდაუთის რადიო — არასოდეს არ აღმართავს თავის მახვილს აფხაზი ხალხის წინააღმდეგ და ყველაფერს გააკეთებს, რომ განხორციელდეს მოთხოვნა არჩეული პრეზიდენტის დაბრუნებისათვის.

„სამეგრელოს სამხედრო ნაწილებმა, — იუწყება გუდაუთის თავდაცვის ე. წ. სამინისტრო, — უამრავი სამხედრო ტექნიკა წაართვეს ხელისუფლების სამხედრო შენაერთებს და დაიწყეს თავიანთი აქციები. გადაკეტილია თბილისიდან სამეგრელოში შესასვლელი გზა".

რა შეიძლება ითქვას ამ ინფორმაციის შესახებ? თვითონ ხედავთ, რომ ჩვენი ქვეყნის მტრების სიხარულს საზღვარი არა აქვს. კომენტარისათვის სიტყვებიც კი ვერ მოგვიძებნია, იმდენად ემთხვევა ეს გამონათქვამები 9 აპრილს თბილისში „ზვიადისტების" მიერ გამართულ მიტინგზე გამომსვლელთა აზრებს.

●

ჩკალოვის აეროდრომიდან — ბომბორამდე!

აფხაზი სეპარატისტები კმაყოფილები არიან ქ. სოჭში გამართული რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების შედეგებით, რაც მათ გზას უხსნის კონფლიქტის შემდგომი ესკალაციისკენ, არძინბასთან მიახლოებულ წრეებში შეინიშნება გარკვეული გამოცოცხლება. ისინი წარმომადგენლებს აგზავნიან რუსეთის ფედერაციაში. სოჭში მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ აფხაზთა მხარეს სურს გამოიყენოს უფრო ფართო მასშტაბიანი შეტევის მოსამზადებლად. ამაზე მეტყველებს სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობები. 7-9 აპრილის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა რუსეთის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავების ჩამოსვლა ჩკალოვის სახელობის აეროდრომიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე. რუსეთის მხარეს არ გაჰყავს ბომბორის აეროდრომიდან სადესანტო ნაწილი და არ ათავისუფლებს ეშერის სეისმოლოგიური ლაბორატორიის ტერიტორიას. ისმის კითხვა, რა დავალებას ასრულებენ რუსეთიდან გამოგზავნილი თვითმფრინავები. პასუხი ერთმნიშვნელოვანია — აფხაზთა მხარეს ამარაგებენ ტყვია-წამლითა და სამხედრო საჭურველით. ისინი მოემგზავრებიან აფხაზეთის რეგიონში ე. წ. მოხალისეთა რაზმების წინამძღოლებად. მათ რიგებში უმეტესად არიან დნესტრისპირეთის ბრძოლებში „წარჩინებული ოფიცრები". აღნიშნული აეროდრომით და სამხედრო ტრანსპორტით სარგებლობენ მოსკოვში მცხოვრებ აფხაზ სეპარატისტთა დამაფინანსებელი კომერციული სტრუქტურები. მათი უშუალო ზედამხედველობით ხდება რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შეძენილი იარაღისა და საბრძოლო მასალის გადმოგზავნა. მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში, კერძოდ, 7 აპრილს გაკეთდა რამდენიმე რეისი. გადმოზიდულია სამხედრო დანიშნულების ტვირთი, რაც მეტყველებს იმაზე, თუ როგორ იყენებენ აფხაზი სეპარატისტები რუსეთ-საქართველოს შორის მიღწეულ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

ნომერში

● რათა აფთიაქებში წესრიგი დამყარდეს... 2
● ვაუჩერი: მითი და სინამდვილე. 3

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის სავალდებულო აღიარების შესახებ

საქართველოს პარლამენტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო დავის გადაწყვეტის მშვიდობიან საშუალებებს, განსაკუთრებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოს საქმიანობას მსოფლიოში მშვიდობისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში და **ადგენს:**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის 36-ე მუხლის მე-2 პარაგრაფის შესაბამისად, წინასწარი შეთანხმების გარეშე აღიარებულ იქნეს სავალდებულოდ საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია ამ პარაგრაფში ჩამოთვლილი ყველა სამართლებრივი დავის მიმართ, თუ მოდავე სახელმწიფოს ნაკისრი აქვს ასეთივე ვალდებულება.

ამის თაობაზე ეცნობოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 15 აპრილი.

მუხლი 36

1. სასამართლოს განსჯადია ყველა საქმე, რომელსაც გადასცემენ მას მხარეები, და ყველა საკითხი, რომელსაც სპეციალურად ითვალისწინებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ან მოქმედი ხელშეკრულებები და კონვენციები.

2. ამ სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ განაცხადონ, რომ ისინი განსაკუთრებული შეთანხმების გარეშე „ipso facto", სავალდებულოდ ცნობენ, ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელმაც ასეთივე ვალდებულება იკისრა, სასამართლოს იურისდიქციას, რომელიც სავალდებულოა ისეთ სამართლებრივ დავაში, რომელიც ეხება

a) ხელშეკრულების განმარტებას;
b) საერთაშორისო სამართლის ნებისმიერ საკითხს;
c) არსებობას ფაქტისა, რომელიც დადასტურების შემთხვევაში წარმოადგენს საერთაშორისო ვალდებულების დარღვევას;
d) ხასიათსა და რაოდენობას საზღაურისა, რომელიც უნდა გადაიხადონ საერთაშორისო ვალდებულების დარღვევისათვის.

3. ზემოთქმული განცხადებები შეიძლება იყოს უპირობო ან ამა თუ იმ სახელმწიფოთა შორის ნაცვალგების პირობით, ან განსაზღვრული დროით.

4. ასეთი განცხადებები შესანახად ბარდება გენერალურ მდივანს, რომელიც ასლებს გადაუგზავნის სტატუტის მონაწილეებსა და სასამართლოს მდივანს.

5. საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივი პალატის სტატუტის 36-ე მუხლის საფუძველზე გაკეთებული განცხადებები, რომლებიც ძალაში რჩება, ამ სტატუტის მონაწილეთა შორის ურთიერთობებში ჩაითვლება აღიარებად იმისა, რომ ისინი თავიანთთვის სავალდებულოდ მიიჩნევენ საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციას ამ განცხადებების ვადის გასვლამდე დარჩენილი დროით და მათში გადმოცემული პირობების შესაბამისად.

6. იმ შემთხვევაში, თუ წამოიჭრება დავა, ამ სასამართლოს განსჯადია თუ არა საქმე, საკითხი წყდება სასამართლოს განჩინებით.

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის პირველი მოსმენით მიღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს რესპუბლიკის კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" მიღებულ იქნეს პირველი მოსმენით 24-ე და 42-ე მუხლების გარეშე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 15 აპრილი.

ელჩების მიღება

15 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში კენტ ბრაუნი და საელჩოს მრჩეველი ქალბატონი ნორმა ჰარმსი მათივე თხოვნით.

ელჩმა გააცნო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კლინტონისა და რუსეთის პრეზიდენტის ელცინის ვანკუვერში შეხვედრის შედეგები და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს ყოფილ რესპუბლიკებში, კერძოდ, საქართველოში მიმდინარე პროცესებს. მან თქვა, რომ, ძალზე გადატვირთული დღის წესრიგის მიუხედავად, პრეზიდენტმა კლინტონმა გამონახა დრო ბორის ელცინის ყურადღება მიეპყრო იმისათვის, რომ საჭიროა ყოველნაირად შეუწყოს ხელი ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებას.

ალექსანდრე ჩიკვაიძემ დიდი მადლობა გადაუხადა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას საქართველოს ხელმძღვანელობის მხარდაჭერისათვის რესპუბლიკაში დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაში.

მხარეებმა განიხილეს ურთიერთსაინტერესო სხვა საკითხებიც, საქართველო-ამერიკის თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების პერსპექტივები.

* * *

იმავე დღეს ბატონმა ალექსანდრე ჩიკვაიძემ მიიღო ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში ფრიდრიხ ბაუერი. შეხვედრა გაიმართა ბატონ ბაუერის მიერ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძისათვის რწმუნების სიგელების გადაცემის წინ, რომელიც ადასტურებს მის, როგორც საქართველოს რესპუბლიკაში ავსტრიის ელჩის უფლებამოსილებას.

საუბრის დროს აღინიშნა საქართველოსა და ავსტრიას შორის სრულყოფილი ურთიერთობის განვითარების დიდი მნიშვნელობა, რომელიც მომავალში შესაბამისი ხელშეკრულებით გაფორმდება.

ელჩმა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ მოკის სახელით ამ ქვეყანაში ოფიციალურ ვიზიტად მიიწვია ბატონი ალექსანდრე ჩიკვაიძე, ამა წლის სექტემბრის პირველ ნახევარში.

მიწვევას ბატონი ალექსანდრე ჩიკვაიძე მადლობით დათანხმდა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის **ნიკოლოზ პეტრეს ძე ვეკუას** დამკრძალავი კომისია ა. თავხელიძის თავმჯდომარეობით.

ნ. ვეკუა დაიკრძალება საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი გეოლოგი, საქართველოს გეოლოგიის სამმართველოს ყოფილი უფროსი

ბორის ივანეს ძე გუჯეჯიანი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საპარლამენტო ცხოვრება

ფრაქცია „ლიბერალები"

1. მიხ. ნანეიშვილი — თავმჯდომარე, 2. ზ. ანდრიაძე, 3. ჯ. აჯიაშვილი, 4. ქ. ბერიძე, 5. მ. გიგინეიშვილი, 6. ნ. გიორგაძე, 7. ვ. გოცირიძე, 8. ნ. დევდარიანი, 9. ლ. ლოლობერიძე, 10. ე. შენგელაია, 11. გ. ციხისთავი, 12. ჯ. კალანდია, 13. მ. რიჟკინი, 14. რ. ქეიშვილი, 15. ჯ. ჩარკვიანი, 16. რ. მიშინოშვილი, 17. გ. შაიშმელაშვილი, 18. ჯ. ბერიძე.

პლატფორმა

საპარლამენტო ფრაქცია „ლიბერალები" თავის საქმიანობას საქართველოს პარლამენტში წარმართავს **დემოკრატიული ლიბერალიზმის** პრინციპებისა და ღირებულებების თანახმად მათი დამკვიდრების მიზნით ერის ცხოვრებაში, პირველ ყოვლისა, ამ უკანასკნელის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ სფეროებში.

კრიზისი, რომლითაც მოცულია და გამსჭვალული დღეს ქართველი ერის მთელი ცხოვრება, მისი ყველა დარგი, ჩვენი შეფასებით სხვა არაფერია, თუ არა **საერთოეროვნული კულტურული კრიზისი**, რომლის კონკრეტული გამოხატულებებიცაა კრიზისები, არსებული ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა სფეროებში. განვმარტავთ, რომ ეკონომიკასაც, სოციალობასაც, სამართალსაც და პოლიტიკასაც განვიხილავთ, როგორც კულტურის გარკვეულ დარგებს (გნებავთ, სფეროებს, ან ფორმებს და ა. შ.). აქედან გამომდინარე — საჭიროებაც **საერთოეროვნული კულტურული რეფორმისა**, რომელმაც ერი უნდა გამოიყვანოს აღნიშნული ტოტალური კულტურული კრიზისიდან და რომლის სისტემურ კონტექსტშიც უნდა შემუშავდეს ანტიკრიზისული ღონისძიებანი, მაგალითად, ეკონომიკის დარგში (ეკონომიკური რეფორმა). ეს ნიშნავს, რომ ცხოვრების ამა თუ იმ დარგის რეფორმა უნდა ითვალისწინებდეს არსებულ ზოგადკულტურულ ვითარებას და უნდა ემყარებოდეს, თითოეულ შემთხვევაში, პრობლემისადმი კომპლექსურ მიდგომას. ასეთია, ზოგად მონახაზში, საკითხის ჩვენეული პრინციპული დაყენება და შესაბამისი მეთოდოლოგიური მიდგომაც.

1. მაგრამ იმისათვის, რათა ეს პრობლემა მოგვარებულ იქნას, ე. ი. დაიძლიოს არსებული კრიზისი, ანუ გატარდეს სათანადო რეფორმა, აუცილებელია პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა, რომლისგანაც ამჟამად შორს ვიმყოფებით, ამიტომაც პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, ასეთი სტაბილურობის მისაღწევად და უზრუნველსაყოფად, ესაა **არმიის, პოლიციის და დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურთა** შექმნა თანადროული სტანდარტებისა და ქვეყნის საჭიროებათა მიხედვით.

2. ამავე მიზნით რაც შეიძლება მალე უნდა მოგვარდეს ურთიერთობა რუსეთთან, რისთვისაც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ კავშირები დასავლეთის ქვეყნებსა და საერთაშორისო პოლიტიკურ ორგანიზაციებთან (უკანასკნელთაგან, პირველ რიგში, გაეროსთან, ასევე ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის თათბირთან და სხვ.). ამ (და არა მარტო ამ) მიმართულებით წარმატებისათვის ჩვენ უნდა შევძლოთ მსოფლიოს დემოკრატიულ საზოგადოებრიობაში ქვეყნისთვის ესოდენ საჭირო ნდობისა და გაგების მოპოვება, რისთვისაც აუცილებელია სათანადო პოლიტიკის წარმოება, არსებული კონიუნქტურის ზუსტი და სრული გათვალისწინებით.

3. ჩვენ ვიმყოფებით იმ ხანაში, რომელმაც უნდა დააგვირგვინოს ქართველი ერის ხუთსაუკუნოვანი ბრძოლა „ევროპისათვის", რომელიც ამ მთელი დროის მანძილზე წარმოებდა, როგორც ბრძოლა „ქართველობის გამოხსნა-აღდგომისა"-თვის, იგულისხმებოდა რა, რომ ეს „გამოხსნა-აღდგომა" ქართველი ერისა საბოლოოდ მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი ერი შეძლებდა, ერთხელ და სამუდამოდ, თავისი კუთვნილი ბუნებრივი ადგილის დაჭერას ევროპულ-დასავლურ ერთა ოჯახში. ამისთვის საჭიროა შესაბამისი პოლიტიკის წარმოება როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე, პირველ ყოვლისა, ქვეყნის შიგნით, რადგან, რათა „ევროპა"-ში დავმკვიდრდეთ, თავად უნდა ვიქცეთ ევროპელ ერად ჩვენი ეროვნული ცხოვრების წყობითა და მიმართულებით. ასეთად კი ქართველობა შეიძლება შეიქმნას მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი თავის ცხოვრებას დაამყარებს იმ პრინციპებსა და ღირებულებებზე, რომლებზეცაა აგებული მთელი ევროპულ-დასავლური მსოფლიოს ცხოვრება. ხოლო ეს პრინციპები და ღირებულებები, როგორც ცნობილია, სხვა არაა რა, თუ არა დემოკრატიული ლიბერალიზმის პრინციპები და ღირებულებები. აქედან — ზემოხსენებული საერთო ეროვნული კულტურული რეფორმის საბაზისო და საორიენტაციო იდეოლოგიაც, რომლის სახელიც დემოკრატიული ლიბერალიზმია.

4. უმთავრესი რეფორმა, რომელიც უნდა განახორციელოს ქართველმა ერმა ქვეყნის ხელისუფლების ხელშეწყობითა და ხელმძღვანელობით, როგორც ეს საყოველთაოდაა აღიარებული, არის ეკონომიკური რეფორმა, რამაც უნდა უზრუნველყოს მატერიალური საფუძველი ყველა სხვა; ანუ, საბოლოო ანგარიშით, ზემოხსენებული საერთაშორისო კულტურული რეფორმისათვის, მისი მთელი დარგობრივი მრავალფეროვნებით. ჩვენ, როგორც ეკონომიკური ლიბერალიზმის, ანუ იმავე თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის, ანუ იმავე კაპიტალიზმის, იდეოლოგიის „ორთოდოქსი" მიმდევარნი, ვიღვწით, თანახმად ჩვენი ერთგულებისა ეკონომიკური ლიბერალიზმის კლასიკური („ფუნდამენტური") ტრადიციებისადმი, ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების რადიკალური ლიბერალიზაციისათვის, რათა დამკვიდრდეს და გაბატონდეს საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში კაპიტალიზმი თავისი შეძლებისდაგვარად „წმინდა" ფორმით. მიგვაჩნია, რომ ასეთ მიდგომას დადებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის არა მარტო საკუთრივ ეკონომიკური („მატერიალური") თვალსაზრისით, არამედ მორალურითაც და, საერთოდ, კულტურულით, რადგან ამ გზით და სახით აღდგება ის კულტურა ინდივიდუალური თავისუფლებისა, შესაბამისი ინდივიდუალური პასუხისმგებლობითურთ, რომელიც ესოდენ გვაკლია დღეს და რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ერის სრულფასოვანი და სისხლსავსე შემოქმედებითი ცხოვრება, არსებითად დამოკიდებული მის შვილთა ინდივიდუალურ ძალისხმევაზე. ხოლო იმისათვის, რათა შესაბამისი რეფორმები გატარდეს ქვეყნის ცხოვრებაში, აუცილებლად გვესახება ამ მიზნით უცხოეთის საკრედიტო და საექსპერტო დახმარება, რადგან საკუთარი მატერიალური და ინტელექტუალური სახსრებით ამ ურთულეს ამოცანას აშკარად თავს ვერ გავართმევთ. ანუ გვესაჭიროება უცხოური „მიზნობრივი" კრედიტი, რომელიც მთლიანად უნდა მოხმარდეს ამ რეფორმის საქმეს და რომელიც მთლიანად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო საექსპერტო მომსახურებით, შესაბამისი პასუხისმგებლობით არა მარტო რეფორმების პროგრამის შემუშავებისათვის, არამედ მისი გატარებისთვისაც ცხოვრებაში. გარდა ამისა (და ამასთან პირდაპირ კავშირში) ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკის ერთი სტრატეგიული ხაზი უნდა იყოს დასავლური ბიზნესისა და კაპიტალის მოზიდვა საქართველოში, რომელმაც მათ, „დაკაბალების" ყოველგვარი შიშის გარეშე, რაც შეიძლება ფართოდ უნდა გაუღოს კარი, მაქსიმალური შეღავათების მიცემით.

ხელისუფლებამ თავის ხელთარსებული ყველა საშუალებით უნდა იზრუნოს იმისათვის, რათა ჩვენში რაც შეიძლება მალე ჩამოყალიბდეს ბიზნესმენთა, ამ სიტყვის ნამდვილი, ე. ი. დასავლური, გაგებით, ფენა, გნებავთ, „კაპიტალისტთა კლასი", რომელმაც უნდა განსაზღვროს კიდეც, არსებითად, საქართველოს ეკონომიკური მომავალი.

5. ხელისუფლების **სოციალური** პოლიტიკა, ე. წ. სოციალური უზრუნველყოფის სფეროში, მთლიანად უნდა იყოს დაქვემდებარებული ზემოაღნიშნული ეკონომიკური რეფორმის ინტერესებს, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი. არ ვეხებით რა, ამ შემთხვევაში, ხსენებული პოლიტიკის წმინდა ჰუმანიტარულ ასპექტს, რომელიც გულისხმობს დახმარებას შრომისუუნაროთათვის (მოხუცები, ინვალიდები, პენსიონერები, აგრეთვე ბავშვები...), ზოგადად ვუთითებთ, რომ სოციალური პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს მოსახლეობის შრომითი აქტივობის საქმეს, როგორც ამ აქტივობის გარკვეული სტიმულატორი, რათა არ გადაიქცეს იგი (რისი საშიშროებაც ჩვენს სინამდვილეში უთუოდ არსებობს) სოციალური პარაზიტიზმის ნებაუნებლიე ფაქტორად. რა თქმა უნდა, ამ პოლიტიკამ, თავისი აღნიშნული ძირითადი ეკონომიკური ფუნქციის აღმასრულებელმა, უნდა იზრუნოს იმ „სოციალური ბალიშების" შესაქმნელად, რომლებმაც ერთგვარი „ამორტიზაცია" უნდა მოახდინონ მოსალოდნელი ეკონომიკური ვარდნისა, პირველ ყოვლისა მოსახლეობის ყველაზე ხელმოკლე ნაწილში.

6. ზემოხსენებულის კონტექსტში შევეხებით კიდევ ერთ საკითხს, მეტად საგანგაშოს ჩვენი ერისათვის. თუმცა ამ პრობლემას ჰუმანიტარული ასპექტიც აქვს, თავისი ზნეობრივი მნიშვნელობით კიდევ უფრო ყურადსაღები. მხედველობაში გვაქვს ჩვენი საზოგადოების, ხალხის უმძიმესი მდგომარეობა მისი ჯანმრთელობის თვალსაზრისით, ვგულისხმობთ რა, სახელდობრ, საკითხის არა მარტო სამედიცინო, არამედ სოციალურ მხარესაც. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ხალხის დიდი ნაწილი დაავადებულია არა მარტო ფიზიკურად და სულიერად და, როგორც ასეთი, საგანგებო სამედიცინო მომსახურებას მოითხოვს, არამედ იგი სნეულია მორალურ-სოციალურადაც, რაც თავის გამოხატულებას პოვებს არსებულ კრიმინოგენულ სიტუაციაში. ამ ორგვარ პათოლოგიას, კლინიკურსაც და კრიმინალურსაც, ხშირ შემთხვევაში ურთიერთდაკავშირებულს (მაგალითად, როგორიცაა ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, მათი სოციალური შედეგებითურთ, სხვადასხვა დანაშაულობათა სახით), საზოგადოებამაც და ხელისუფლებამაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს, რადგან იმ ვითარებაში, რომელშიც დღეს იმყოფება ჩვენი ქვეყანა აღნიშნული თვალსაზრისით, ზედმეტია ლაპარაკი რაიმე ეკონომიკურ (თუ სხვა) რეფორმაზე, ვინაიდან ამ რეფორმებს ასე დასნეულებული, ვიმეორებ, ფსიქოფიზიკურადაც და მორალურ-სოციალურადაც, ხალხი ვერანაირად ვერ განახორციელებს. ამიტომაც **ერის განკურნება**, ზემოხსენებული ორმაგი გაგებით, ჩვენი ერთი უმთავრესი საზრუნავი უნდა იყოს.

7. იმ უმწვავესი მატერიალური დეფიციტის, რომელსაც განიცდის მთელი საქართველო, თანაფარდია ჩვენი ინტელექტუალური დეფიციტი, რაც გამოიხატება ქვეყნის ნამდვილ სიღატაკეში **კვალიფიციური კადრებით**, განსაკუთრებით სამეურნეო და, საერთოდ, სახელმწიფო აღმშენებლობის სფეროში. ამ მხრივ საქმე იქამდეც კი მისული, რომ მთავრობაც ვერ დაგვიკომპლექტებია საქმის მცოდნე ადამიანებით, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ. ამიტომაც ამ ინტელექტუალური, ანუ, სხვა სიტყვით, ცოდნის, განათლების დეფიციტის შევსება, შესაძლოა, ყველაზე აქტუალური ამოცანა იყოს ჩვენი ერისათვის, რადგან ერთი მთავარი (თუ უმთავრესი არა) მიზეზი იმისა, რომ დღემდე ვერ დაგვიძრავს ქვეყნის ეკონომიკა ადგილიდან, სწორედ ისაა, რომ არ გვყავს სათანადოდ კვალიფიცირებული სპეციალისტები. ამგვარად, საკითხი ეხება ქვეყნისთვის ესოდენ საჭირო კადრების მომზადებას, რაც, პირველ ყოვლისა, გულისხმობს **სასკოლო საქმის** ძირეულ რეფორმას, დაწყებული საშუალო სკოლიდან და დამთავრებული — უმაღლესით. არ გვაქვს სახელმძღვანელოები, რომლებიც უპასუხებენ თანადროული ცხოვრების მოთხოვნებს, რის გამოც ისეთი კურიოზული სიტუაციაა შექმნილი, რომ ჩვენი სტუდენტი ახალგაზრდობა, რომელიც სწავლობს, მაგალითად, ეკონომიკას, მშობლიურ ენაზე მოკლებულია არა თუ სამეცნიერო ლიტერატურას, არამედ ჩვეულებრივ სახელმძღვანელოსაც კი. შედეგად გვაქვს ის, რომ ახალგაზრდობაში დაცემულია სწავლისადმი ინტერესი, მინიმუმამდეა დაყვანილი ცოდნის „პრესტიჟი", დაქვეითებულია ახალგაზრდობის ინტელექტუალური ცხოვრება, — სოციალური პათოლოგიის კიდევ ერთი სიმპტომიცა და ფაქტორიც. ამიტომაც საჭიროა, დროზე მიექცეს ყურადღება სასკოლო რეფორმის საქმეს, ისევე როგორც საჭიროა სამეცნიერო ლიტერატურის, პირველ ყოვლისა სასწავლოს, თარგმნისა და გამოცემის პრობლემების მოგვარება. ამასთანავე ჩვენი საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად უნდა იქცეს ახალგაზრდობის გაგზავნა საზღვარგარეთ ცოდნის **პრიორიტეტული** დარგების დასაუფლებლად. საერთოდ, უნდა ვიზრუნოთ ქვეყნის **ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის**, რაც ასევე მიზანშეწონილად და გეგმაზომიერად უნდა წარიმართოს, იმის ნათელი შეგნებით, რომ დღევანდელი საქართველოს მთავარი დეფიციტი საერთოდ არაინფორმირებულობაა, რაც თავს იჩენს კიდეც ჩვენი ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე.

8. და ბოლოს, ერთი დიდი საქმის შესახებ, რომლის შესრულებაც დააკისრა ისტორიამ ახლანდელ ხელისუფლებას: მხედველობაში გვაქვს საქართველოს ახალი **კონსტიტუციის** შექმნა. ამ საკითხზე აქ დიდხანს არ შევჩერდებით, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ჩვენ ხელისუფლებათა — საკანონმდებლოს, აღმასრულებლის და სასამართლოს — ურთიერთგამიჯვნისა და ურთიერთგაწონასწორების ლიბერალურ ტრადიციას ვემყარებით. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვიცავთ **საპრეზიდენტო რესპუბლიკის** იდეას, მიგვაჩნია რა იგი ოპტიმალურად არა მარტო ზოგადთეორიული, არამედ კონკრეტულად ჩვენი ქვეყნის რეალურ საჭიროებათა თვალსაზრისითაც. ამავე დროს, იმავე დემოკრატიული ლიბერალიზმის მოთხოვნათა შესაბამისად, ჩვენ ყოველნაირად შევეცდებით, რომ მომავალმა კონსტიტუციამ გაუხსნას ფართო გზა ადგილობრივი თვითმმართველობის იდეას, როგორც ერთ უმთავრეს ელემენტს ხალხის სოციალური შემოქმედებისა, აღმოცენებულს ტრადიციულ დემოკრატიულ თავისუფლებათა საფუძველზე. არსებულ რეალობათა გათვალისწინებით ამჟამად ჩვენ ვიცავთ **უნიტარულ სახელმწიფოს**, რომელიც დაემყარება განვითარებულ ადგილობრივ თვითმმართველობას.

ფრაქცია „დემოკრატები"

1. ქ. ლარიბაშვილი — თავმჯდომარე, 2. გ. ქელიაძე, 3. გ. უხტიაშვილი, 4. ო. კოჭხიძე, 5. მ. მეტრეველი, 6. ვ. ხაჭაპურიძე, 7. ზ. ლომსაძე, 8. რ. კალაძე, 9. მ. ხარაძე, 10. ჯ. ადამია.

პლატფორმა

ფრაქცია თავისი საქმიანობით ემსახურება დემოკრატიის იდეალების დანერგვას, ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დაცვის რეალური გარანტიების დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში და აცხადებს, რომ ერთი ქვეყნის მოსახლეობის დაყოფა ეროვნულ უმცირესობად და ეროვნულ უმრავლესობად — ესაა ეროვნული წარმოშობის მიხედვით მათი შეგნებული დაპირისპირება და დისკრიმინაცია. დემოკრატიისა და ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ფრაქცია ხელს შეუწყობს და დაეხმარება საქართველოში მცხოვრებ ყველა ადამიანს, როგორი წარმოშობისაც უნდა იყოს იგი, ეზიაროს ქართულ კულტურას, გახდეს სრულუფლებიანი ქართველი მოქალაქე, მთელი სისრულით ისარგებლოს ქართული ცივილიზაციის ყველა მიღწევით, აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამშობლო — საქართველოს ეროვნულ აღმავლობაში, მისი კულტურის სრულყოფასა და გამდიდრებაში.

ქართული სახელმწიფოს კრიზისიდან გამოყვანა — მის სწორ მშენებლობაშია

საქართველო ისტორიულად იქმნებოდა როგორც ქართული ტერიტორიების ერთობლიობა, რომელთა ერთ მძლავრ სახელმწიფოდ გაერთიანების ისტორიულ იდეას არც დღეს დაუკარგავს თავისი სიცოცხლისუნარიანობა.

საქართველო დღეს ერთიანი ქვეყანაა და მისი ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია. ფრაქცია „დემოკრატები" იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენს თაობას აღმოაჩნდება უნარი სახელმწიფო ხელისუფლება მოაწყოს დემოკრატიულ საწყისებზე, ააშენოს სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც დღევანდელი და მომავალი თაობების სიმშვიდისა და კეთილდღეობის გარანტი იქნება, შექმნას მძლავრი ეროვნული ეკონომიკა და ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო თანამეგობრობაში.

დასახული მიზნების მისაღწევად გადასაწყვეტია მთელი რიგი პრობლემები, რომელთა შორის უპირველესად მივიჩნევთ სახელმწიფო ხელისუფლების მოწყობის საკითხს.

ფრაქცია აცხადებს, რომ ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის დამყარების ერთადერთი გზაა ახალი კონსტიტუციის მიღება. პარლამენტის უპირველესი და უმთავრესი საქმე ამ საკითხის გადაწყვეტაა.

ახალმა კონსტიტუციამ ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობას საფუძვლად უნდა დაუდოს საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციული სამხარეო-რეგიონული სისტემა, დაადგინოს ცენტრალურ ინსტიტუტებსა და ტერიტორიულ სუბიექტებს შორის ურთიერთობის ისეთი მექანიზმები, რომლებიც საფრთხეს კი არ შეუქმნიან საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, არამედ იმუშავებენ მისი განმტკიცებისათვის. დადგინდება საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მთლიანად მოისპობა ბიუროკრატიული სტრუქტურები.

ქვეყნის ტერიტორიული მოწყობისას გათვალისწინებული იქნება ბუნებრივ-ისტორიულად ჩამოყალიბებული მხარეები, რომლებსაც მიეცემათ თავისუფლება შექმნან მმართველობის ადგილობრივი სისტემები ჭეშმარიტი თვითმმართველობის საწყისებზე უშუალო სახალხო დემოკრატიის ინსტიტუტების ფართო გამოყენებით და აღადგინონ ადგილობრივი მმართველობის ტრადიციული ეროვნული ფორმები.

ფრაქცია მხარს უჭერს ქართული სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოების ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც დაეფუძნება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო სტრუქტურებს შორის ხელისუფლების დანაწილების საწყისებს, სათანადო ურთიერთდამჭერი მექანიზმებით, მკაფიოდ გაიმიჯნება მათი ფუნქციები, რითაც სახელმწიფო ხელისუფლების უზურპაციის შესაძლებლობა გამოირიცხება.

ქვეყანაში საკანონმდებლო ხელისუფლება გადაეცემა ორპალატიან პარლამენტს. მის უფრო კონსერვატიულ პალატაში — დარბაზში — ტერიტორიული სუბიექტები წარმოდგენილი იქნებიან ორორი დარბაისელით, რომლებიც აირჩევიან 6 წლით. იმისათვის, რომ დარბაზში უზრუნველყოფილი იყოს ხელისუფლების მემკვიდრეობითობა, ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მოხდება დარბაისელთა ერთი მესამედის განახლება. მეორე — დეპუტატთა პალატა — აირჩევა ორი წლით სრულიად საქართველოს ტერიტორიის მიხედვით შექმნილ საარჩევნო ოლქებში. კონსტიტუციურად დადგინდება პალატების არა მარტო საერთო კომპეტენცია, არამედ გაიმიჯნება ფუნქციები მათ შორის. დარბაზს პრიორიტეტი მიეცემა საგარეო ურთიერთობების სფეროში.

ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება მიეცემა საქართველოს პრეზიდენტს, რომელსაც მოსახლეობა 4 წლით აირჩევს. მასთან ერთად აირჩევა ვიცეპრეზიდენტი, რომელიც უხელმძღვანელებს დარბაზის სხდომებს და პრეზიდენტის ფუნქციებს შეასრულებს მისი უუნარობის შემთხვევაში. პრეზიდენტის ფუნქციები მკაცრად უნდა განისაზღვროს კონსტიტუციით.

სასამართლო ხელისუფლება იქნება დამოუკიდებელი. შემოღებულ იქნება მომრიგებელ მოსამართლეთა სისტემა. ქვეყნის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვრება 7 წევრით, რომლებსაც პარლამენტი დანიშნავს პრეზიდენტის წარდგინებით სამისდღეშიოდ. უზენაეს სასამართლოს მიენიჭება საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქცია.

კონსტიტუციურად დადგინდება სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირების — პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტის, პარლამენტის, უზენაესი სასამართლოს წევრებისა და სხვათა თანამდებობიდან გადაყენების პროცედურა და საფუძველი.

ტერიტორიულ სუბიექტებში სახელმწიფო სტრუქტურები მოეწყობა ხელისუფლების დანაწილების საწყისებზე.

ფრაქციას მიაჩნია, რომ პარლამენტმა მიღებული კონსტიტუცია სარატიფიკაციოდ ტერიტორიულ სუბიექტებს გადასცეს. კონსტიტუციის რატიფიკაციის შემდეგ პარლამენტი დანიშნავს კონსტიტუციით დადგენილი სახელმწიფო ორგანოების არჩევნებს, უზრუნველყოფს მათ ობიექტურად ჩატარებას და სახელმწიფო ხელისუფლებას გადასცემს ახლადარჩეულ სახელმწიფო სტრუქტურებს — საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს.

ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის პროგრამა

დღეს საქართველოს ხელისუფლების, პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების, რესპუბლიკის მთელი ინტელექტუალური ძალების და ყოველი მოქალაქის უპირველესი ამოცანაა ქვეყნის გამოყვანა მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან. ამ პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული პრინციპების განუხრელი დაცვით, საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის აუცილებელ სასიცოცხლო ინტერესთა ხელშეუხებლობის გარანტირებით.

ჩვენ მხარს არ დავუჭერთ ისეთ ეკონომიკურ და სოციალურ რეფორმებს, რომლებიც ვერ შეძლებენ უმტკივნეულოდ უზრუნველყონ რესპუბლიკის ეკონომიკის აყვანა ახალ თვისობრივ დონეზე და მოსახლეობის მატერიალურ გაჩანაგებას გამოიწვევენ.

საქართველოს ეკონომიკურ მოწყობას საფუძვლად უნდა დაედოს დემოკრატიული ეკონომიკა — წარმოებისა და მოხმარების ინტერესთა ურთიერთმისაღები ჰარმონიული ერთიანობა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა. საზოგადოების თითოეული წევრის სასიცოცხლო და საარსებო ინტერესთა თანასწორი უფლებების აღიარება, ადამიანთა ფიზიკური და სულიერი განვითარების, სამუშაოს, დასვენების, მატერიალური ქონების ფლობისა და განკარგვის თანასწორუფლებიანობის დაცვა. უზრუნველყოფილი იქნება წარმოების პროცესის ყველა მონაწილის ინტერესთა დაცვა და ეკონომიკური რეალობების გათვალისწინებით საწარმოო ძალთა მუდმივი განვითარება.

დემოკრატიული ეკონომიკის შექმნას საფუძვლად უნდა დაედოს პრივატიზაცია, რომელიც უნდა შეეხოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან სფეროს და ეტაპობრივად წარიმართოს.

ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე საერთო სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს ტყეები, მდინარეები, ტბები, ჰაობები, რკინიგზის სადგურები, რკინიგზები, ავტოსადგურები და სხვა სატრანსპორტო კომუნიკაციები, ძირითადი დანიშნულების ტრანსპორტის მწარმოებელი და შემკეთებელი საწარმოები, წიაღისეული სიმდიდრე, სამთომომპოვებელი მრეწველობა მთლიანად, ნავთობსადენები, გაზსადენები, მათი კომუნიკაციები, ელექტროსადგურები, ელექტროგადამცემი ხაზები, საქალაქო, სარაიონო მიწისზედა და მიწისქვეშა ტრანსპორტი, სამდინარო და საზღვაო ფლოტი, ენერგომატარებლები, მათი წარმოების წყაროები და სამდინარე ტრანსპორტი, სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების ობიექტები და მათი წარმოების ორგანიზაციები, პურის და პურპროდუქტების მწარმოებელი და გადამამუშავებელი საწარმოები, სამკურნალო პრეპარატის მწარმოებელი დარგები და გამსაღებელი ქსელი. ამასთან ჩვენ არ გამოვრიცხავთ ამ სფეროებში კონკურენციის საფუძველზე პარალელურ კერძო, ჯგუფურ ან შერეულ საკუთრებას.

დღევანდელ ეტაპზე უნდა გამოცხადდეს სახელმწიფო მონოპოლია ნავთობზე, ნავთობპროდუქტებსა და სხვა ენერგომატარებლებზე

მხარს ვუჭერთ მრეწველობის, საყოფაცხოვრებო და ვაჭრობის ობიექტების პრივატიზაციას:

1. მრეწველობის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ღირებულების 25% აქციების სახით უსასყიდლოდ, დიფერენცირებულად და შერეულად გადაეცეს საქართველოს ქალაქების მცხოვრებთ.
2. საპრივატიზაციო ქონების მეორე 25% გაიყიდოს მცირეფასიანი აქციების სახით. აქციების ყიდვის პრიორიტეტი მიეცეს ამა თუ იმ მოცემულ საწარმოს და ორგანიზაციაში მომუშავე პირებს. აგრეთვე რესპუბლიკის მოქალაქეებს.
3. საპრივატიზაციო ქონების დანარჩენი ნაწილი გაიყიდოს აუქციონის საკონკურსო წესით შრომითი კოლექტივების ინტერესების გათვალისწინებითა და მათი სოციალური გარანტიების დაცვით.

ამ პროცესების პარალელურად უნდა შეიქმნას სხვადასხვა ფორმისა და ტიპის საწარმოების მიერ გამომუშავებული პროდუქციის სახელმწიფო შეკვეთების და შესყიდვების სისტემა.

აგრარულ რეფორმას საფუძვლად უნდა დაედოს მიწაზე სახელმწიფო საკუთრების მონოპოლიის გაუქმება, მიწის ფასის დაწესება, რენტულ ურთიერთობათა აღდგენა, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს განვითარებული ცივილიზებული ქვეყნების მსგავსი მიწათმოქმედების სისტემის წარმოქმნა დემოკრატიული ეკონომიკის სახით სახელმწიფო, ჯგუფურ-მონოპოლისტური, კერძო და შერეული საკუთრების ფორმებით. ეს შეიძლება იყოს ფერმერული, ლატიფუნდისტური, სახელმწიფო მეურნეობები, მიწათმოქმედთა კავშირები, სახალხო მამულები, გლეხთა კოოპერატივები და სხვა გარკვეული მარცვლეული კულტურების წარმოებისა და მეცხოველეობის უპირატესი განვითარებით.

ხელს შევუწყობთ აგროტექნიკური მომსახურების სადგურების შექმნას მათი საზოგადოებრივი მეურნეობებიდან გამოსყიდვის გზით, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ტიპისა და საკუთრების სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის საწარმოებთან კონტრაქტაციის სისტემის ჩამოყალიბებას.

დემოკრატიული ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია სწორი, საზოგადოებისათვის მისაღები საგადასახადო სისტემა. მის ჩამოყალიბებას საფუძვლად უნდა დაედოს წარმოებისა და მოხმარების ინტერესთა ერთიანობა. უნდა გამოირიცხოს წარმოების მიერ მომხმარებლისათვის გადასახადების გადაკისრება.

მხარს ვუჭერთ საკუთარი ეროვნული ფულის შექმნას.

საჭიროდ მიგვაჩნია სავალდებულო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევისა და მშრომელთა საყოველთაო სავალდებულო დაზღვევის სისტემის შექმნა უმუშევრობის შემთხვევაში.

დემოკრატიული ეკონომიკის ჩამოყალიბებაში არსებით მნიშვნელობას ვანიჭებთ წარმოებასა და მოხმარებას შორის სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას. ფრაქცია აუცილებლად მიიჩნევს მკაცრი და სერიოზული ბრძოლის გამოცხადებას ეკონომიკურ დანაშაულობებს, სამრეწველო ჯაშუშობას, საბირჟო სპეკულაციას, პროდუქციის ფალსიფიკაციას, ხელოვნურ დეფიციტს, ნარკობიზნესს, კონტრაბანდასა და სხვა. მათ წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით უნდა შეიქმნას მძლავრი სპეციალიზებული სამსახური თანამედროვე ოპერატიულ-ტექნიკური აღჭურვილობითა და უფლებებით.

მეცნიერებისა და კულტურის შესახებ

ხელს შევუწყობთ მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობას. უნდა შეიცვალოს განათლების სისტემა მთლიანად. ფრაქციის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ზოგადსაგანმანათლებლო კონცეფცია გულისხმობს ერის ჰუმანიტარულ-შემეცნებითი მონაპოვრის, მისი კულტურული და რელიგიური ღირებულების ათვისებას და ემყარება ერის დიდ მოძღვართა ნააზრევს, ეროვნულ-ეთიკურ მოდელს და ქართველი კლასიკოსების ზნეობრივ-მსოფლმხედველობითი მოძღვრებით არის გამართული. ამასთან ერთად ათვისებული იქნება მსოფლიო ცივილიზაციის მიღწევები მეცნიერებასა და კულტურაში. მივაღწევთ იმას, რომ საქართველოში განათლებული სხვა ქვეყნებშიც განათლებული იქნება. სახელმწიფო საკუთრებაში უნდა დარჩეს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, კულტურულ-სამეცნიერო, საგანმანათლებლო და სხვა მსგავსი ტიპის საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები. ამასთან, საჭირო იქნება მათი საქმიანობის მიზანმიმართული, დაკონკრეტება სახელმწიფო მაღალანაზღაურებადი შეკვეთების საფუძველზე, რათა მოხდეს ინტელექტუალური პოტენციალის შეერთება საზოგადოებრივ-ეკონომიკურ პრაქტიკასთან. პარალელურად მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს ინტელექტუალური პროდუქციის ჩართვა მსოფლიო ბაზარში მისი მაღალი ანაზღაურების საფუძველზე.

აუცილებლად მიგვაჩნია კერძო უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დაფუძნების საქმეში ჩამოყალიბდეს მსოფლიო მოწინავე ქვეყნებში არსებული პრაქტიკის შესაბამისი პირობები.

ეკოლოგია

გარემოს დაცვა აყვანილი უნდა იქნეს საკონსტიტუციო რანგში. უნდა შეიქმნას მძლავრი ეკოლოგიური უწყება საკუთარი პოლიციითა და ინსპექციით, რომელიც მხოლოდ სავალდებულო ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებისა და შესაბამისი პირობების დაცვის შემდეგ დართავს ნებას ამა თუ იმ დანიშნულების საწარმოს შექმნაზე. აუცილებლად მიგვაჩნია დაწყებითი განათლების სასწავლო პროგრამებში ეკოლოგიის, როგორც ცალკე სავალდებულო ჰუმანიტარული დისციპლინის შეტანა.

შეიარაღებული ძალები

ფრაქცია მხარს უჭერს მძლავრი და დისციპლინირებული შეიარაღებული ძალების შექმნას. პარლამენტმა უნდა დაადგინოს უცხო ქვეყნის შეიარაღებული ძალების საქართველოში ყოფნის სტატუსი და რუსეთის არმიის ნაწილების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის ზუსტი ვადები.

საგარეო პოლიტიკის შესახებ

სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში ფრაქცია ხელმძღვანელობს აქტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკიდან გამომდინარე პრინციპებით.

პარტიებთან და სხვა ფრაქციებთან ურთიერთობა

პარლამენტში ფრაქცია ითანამშრომლებს ყველა იმ ფრაქციასთან და პარტიასთან, რომლებიც დაეთანხმებიან წინამდებარე პლატფორმაში განცხადებულ პრინციპებს.

წინამდებარე პლატფორმაში განცხადებული პრინციპებიდან გამომდინარე ფრაქცია „დემოკრატები" შევიმუშავებთ და პარლამენტში წარვადგენთ რიგ კანონპროექტებს და მხარს დავუჭერთ ისეთებს, რომლებიც ჩვენს პოლიტიკურ პოზიციებს არ ეწინააღმდეგებიან.

ფრაქცია „კონსერვატორები"

1. თემურ ჟორჟოლიანი — თავმჯდომარე, 2. ალექსანდრე ბუხუხაძე, 3. მამული ელენტი, 4. თენგიზ გელოვანი, 5. ლუიზა შაქიაშვილი, 6. გიორგი კიკნაძე, 7. მიხეილ გვერდწითელი, 8. ნუგზარ კობერიძე, 9. თემურ ჟორჟოლიანი, 10. გოდერძი ველიჯანაშვილი.

პოლიტიკური პლატფორმა

„საქართველოს პარლამენტის „დროებითი რეგლამენტისა" და „ხელისუფლების შესახებ" კანონის მოთხოვნათა შესაბამისად საარჩევნო ბლოკ „მშვიდობა"-ს დეპუტატთა ჯგუფი აყალიბებს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ფრაქციას „კონსერვატორები".

ფრაქციის პოლიტიკური იდეოლოგია ეფუძნება საკუთრივ ქართული ეროვნული მსოფლმხედველობის ნიადაგზე ქართულ-ეროვნული თავისუფალი და დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების იდეას. კონსერვატიზმი, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, ეყრდნობა ქართული ჩვეულებების, ტრადიციებისა და ეროვნული თავისებურებების შენარჩუნებას და მის შერწყმას ყოველივე პროგრესულ და თანამედროვე მოვლენებთან. ფრაქცია კონტაქტს დაამყარებს და ითანამშრომლებს სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან, პატივისცემასა და თანასწორობას გამოუცხადებს საქართველოში მცხოვრებ ერებს: ყველა პრობლემას მოაწესრიგებს კონსენსუსისა და მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდების გამოყენებით.

„კონსერვატორთა" ფრაქცია ქვეყნის საბოლოო სახელმწიფო მოწყობისა და მართვა-გამგეობის ფორმებიდან პრიორიტეტს ანიჭებს დემოკრატიულ საპარლამენტო კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფო მოდელს, რომელშიც მორგებულად თავსდება ქართველი ერის ისტორიული, ტრადიციული, სულიერი და ყოფითი თავისებურებანი.

„კონსერვატორთა" ფრაქციის დეპუტატები მიმდინარე და გარდამავალ პერიოდში კონსტრუქციულად ითანამშრომლებენ პოლიტიკურ ძალებთან, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებთან.

ირაკლი მენაღარიშვილი:

სტატიამ მართლაც კატალიზატორის როლი შეასრულა,

ანუ წესრიგი რომ დამყარდეს აფთიაქებში

თავიდანვე მოსახლეობის დიდი ვნებათა ღელვა მოჰყვა საერთოდ კომერციულ ვაჭრობას, და, კერძოდ, კომერციული აფთიაქების გამოჩენას. ცალსახად უარყოფითი გახლდათ მთელ საქართველოს სახადივით მოდებული სამკურნალწამლო ჯიხურებისადმი დამოკიდებულება. თუმცა, ვერც მის სარგებლიანობას უგულებელყოფს კაცი ფარმაცევტული პროდუქციის დღევანდელი უმწვავესი დეფიციტის პირობებში. ზოგჯერ ხომ იგი ერთადერთ მხსნელად გვევლინება, მიუხედავად დიდი სიძვირისა, საზოგადოებაში გამეფებული უარყოფითი აზრის ანარეკლი გახლდათ, და მას ალტერნატივა არ ჰქონდა, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" დაბეჭდილი პრობლემური სტატია — „ჩაშკას დუქანი თუ...?" იგი გამოქვეყნდა რუბრიკით: სხვა გაზეთებიდან („საქმიანი კვირა"), სადაც ვრცლად და მრავალპლანიანად მიმოიხილებოდა ამ სფეროში არსებული ვითარება.

ამას წინათ გამოქვეყნებულ „სამკურნალწამლო საშუალებებით ვაჭრობის დროებითი წესების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც სტატიაში აღძრულ პრობლემებს ეხმიანებოდა, ჩვენმა კორესპონდენტმა კომენტარ-ინტერვიუ სთხოვა საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ბატონ **ირაკლი მენაღარიშვილს**.

— ბატონო ირაკლი, რას იტყვით მინისტრთა კაბინეტის მიერ შემოღებული სამკურნალწამლო საშუალებებით ვაჭრობის დროებითი წესის შესახებ?

— პირველ ყოვლისა, მინდა მოგახსენოთ, რომ, იმ დადგენილების პროექტი ჩვენთან, სამინისტროში მომზადდა. როგორც თვით „დროებით წესშია" ნათქვამი, კერძო აფთიაქებისა და სააფთიაქო მაღაზიების ფართო ქსელის შექმნა განაპირობა სამკურნალწამლო საშუალებათა მწვავე დეფიციტმა და, მე დავუმატებდი, მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე — საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ.

— ბატონო ირაკლი, შეიძლება გახსოვდეთ, კომერციული აფთიაქების თემაზე გამოქვეყნებული პუბლიკაცია ასეთი სურვილით მთავრდებოდა: დაჩქარებულიყო და რაც შეიძლება სწრაფად შექმნილიყო მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა... ამ მრავალგანშტოებიანი დარგის სწორ მართვას, იქ სრული წესრიგის დამყარებას. საფთიაქო ბიზნესი რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის განუყოფელი ნაწილია და მას ფართო გზა უნდა გაეხსნას, ოღონდ — კანონიერი!

— საერთოდ, დადგენილების გამოჩენის უპირველესი საფუძველი საფარმაციო ბიზნესის დარგში დარღვევების აღმოფხვრა, პროფესიულ დონეზე წესრიგის დამყარებაა, როგორც ეს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაშია. საბაზრო ეკონომიკა სხვანაირად წარმოუდგენელიც არის. რაც შეეხება, გაზეთის იმ სტატიას, მან მართლაც ითამაშა, როგორც ამბობენ, ერთგვარი კატალიზატორის როლი და ნამდვილად დააჩქარა მომწიფებული პრობლემის გადაწყვეტის პროცესი. იგი ხომ მოსახლეობის, საზოგადოებრივი აზრის გამოხატულებას წარმოადგენდა და არ შეიძლებოდა მისი იგნორირება.

ერთ გარემოებას მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება: ალბათ, შეამჩნევდით, „დროებით წესში". ნახმარია გამოთქმა: „აფთიაქები და საფთიაქო მაღაზიები". შემთხვევით არ არის, რომ ერთმანეთისაგან არ არის გამიჯნული ფარმაციის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები. იგი შემდგომში ასეც უნდა დამკვიდრდეს, რამდენადაც მათ შორის არ იქნება განსხვავება, მფლობელისადმი, წაყენებულ მოთხოვნათა და პასუხისმგებლობის თვალსაზრისით. ამგვარად, არ აქვს მნიშვნელობა, საკუთრების რა ფორმას მიეკუთვნებიან ისინი, მთავარია, რომ ორივეგან ერთნაირი პირობები და სავალდებულო წესები უნდა იყოს დაცული.

— მაპატიეთ, მაგრამ, განა აფთიაქისა თუ მაღაზიის კერძო მფლობელები შეძლებენ იმ მრავალი სახის ყველა პირობის შესრულებას, რომელსაც უყენებენ ასეთ დაწესებულებებს სამკურნალწამლო საშუალებათა და სხვა სამედიცინო საქონლის დამზადების, შენახვისა და რეალიზაციის შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები?

— უნდა შეძლონ! ეს არც ისე რთული და მძიმეა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. რანაირად ახერხებენ ცივილიზებულ ქვეყნებში? ამას თვით მესაკუთრის ინტერესები მოითხოვს. — არადა, მოქმედებს კონკურენციის ულმობელი კანონი, ვერ შეძლებს? უნდა გადადგეს გზიდან, სხვას დაუთმოს ასპარეზი. საბაზრო ეკონომიკის დროს სხვანაირად არ ხდება. ნათქვამია, ნუ შეხვალ ნუ ებანები, ნუ გამოხვალ — ნუ თრთი.

— უდავოა, რომ საქმეს რეალურ წარმატებას მხოლოდ ქმედითი საკონტროლო მექანიზმის შექმნა უზრუნველყოფს.

— და სწორედ ასეთი მექანიზმის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს „დროებითი წესი". მართალია შემმოწმებლის ფუნქცია ჯერჯერობით დაეკისრათ სამინისტროს საკონტროლო-საანალიზო ლაბორატორიას, მის ადგილობრივ ორგანოებს და ფარმაკოლოგიურ კომიტეტს, მაგრამ შემდგომში. მას განახორციელებს ახალი საინსპექციო სამსახური.

დადგენილების სრულ და შედეგიან ფუნქციონირებაში მცირე როლი როდი განეკუთვნებათ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, რომლებსაც ოპერატიული რეაგირებისათვის გაეგზავნებათ სამინისტროს წარდგინებები ლიცენზიაჩამორთმეული ფარმაციული კერძო ტიპის დაწესებულებების მუშაობის შეჩერების თაობაზე.

— მართლა, ბატონო ირაკლი, რა სტადიაშია კერძო ტიპის აფთიაქებისა და საფთიაქო მაღაზიების ლიცენზირების წესის შემუშავება, რომლის მომზადება და დამტკიცება სამინისტროს დაევალა? ვადა — ერთი თვე, გავიდა?

— იგი უკვე შემუშავდა, დამტკიცდა და მოქმედებს კიდეც.

— დაბოლოს, კიდევ ერთი კითხვა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დაკავშირებულია პრობლემასთან. თქვენ, ბატონო მინისტრო, სათავეში ედექით დელეგაციას, რომელიც ცოტა ხნის წინათ საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ავსტრიასა და დანიაში. როგორი შედეგებით დამთავრდა იგი?

— დიახ, საქართველოში მსოფლიო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, პროფესორ თამაზ კერესელიძესთან და პროფესორ ამირან გამყრელიძესთან ერთად გახლდით დასახელებულ ქვეყნებში. განზრახული გვქონდა ჩვენში ფარმაცევტული ინდუსტრიის განვითარებით დაგვეინტერესებინა და მოგვეწვია ამ სახელმწიფოთა ფარმაცევტული მრეწველობის საქვეყნოდ ცნობილი და პრესტიჟული ფირმები. დავამყარეთ კიდეც საქმიანი კონტაქტები, ფარმაცევტული კომპანიების წარმომადგენლებთან და საფუძველი ჩავუყარეთ რამდენიმე საინტერესო პროექტს.

— იქნებ, ბრძანოთ, კონკრეტულად, რა სახის პროექტებზეა ლაპარაკი?

— მოგახსენებთ. მაგალითად, დაიწყო მოლაპარაკება მსოფლიოში სახელგანთქმული შვეიცარიული „სანდოზის" ავსტრიული ჯგუფის ფირმა „ბიოქემისთან", კომპანია „ჰოფმან ლა-როშთან", აგრეთვე, ფირმებთან: „ფარმონტა" და „მონტივიტი". მათ გამოთქვეს სურვილი, დაიწყონ მუშაობა ჩვენში ანტიბიოტიკების, ვიტამინების, ასეპტიკური და სხვა პრეპარატების წარმოების ორგანიზაციისათვის.

ავსტრიის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში შეხვედრისას შევთანხმდით ორივე ქვეყნის ჯანდაცვის დარგში თანამშრომლობის საერთო პრინციპებზე, დანიაში კი, სადაც იმყოფება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეგიონული ბიურო, შევიმუშავეთ ერთობლივი პროგრამა. ასეთი გახლავთ ჩვენი დელეგაციის მიერ გაწეული მუშაობის მოკლე რეზიუმე.

ესაუბრა

სერგო ხარაზიშვილი.

სოხუმს სრულიად საქართველო ეხმარება

უჭირს სოხუმს, მის მკვიდრთ. ახლომდებარე სოფლებიდან და რაიონებიდან ლტოლვილებს, რომლებსაც აქ უპოვიათ ჭერი, და, რაღა თქმა უნდა, უჭირთ აფხაზეთში დისლოცირებული შეიარაღებული ძალების მებრძოლებს, აფხაზეთის მოსახლეობის ტკივილი სრულიად საქართველომ გაიზიარა და აი, უკვე რამდენიმე კვირაა თბილისის აეროპორტიდან სოხუმში დაფრინავს სპეციალური თვითმფრინავი ტუ-134. მას ყოველდღიურად 15 ტონამდე ჰუმანური დახმარება მიაქვს ფრონტისპირა ქალაქში.

სოხუმში რესპუბლიკის რაიონებიდან ჰუმანური დახმარების გაგზავნის ორგანიზატორია სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონალური მართვის სამსახური, ხოლო ამ საქმეს კოორდინაციას უწევს საქართველოს პარლამენტის და სახელმწიფოს მეთაურის სამეურნეო სამმართველო.

— პირველი მარტიდან დაწყებულ ამ აქციას, — გვითხრა სამმართველოს უფროსის მოადგილემ ბონდო პაპიძემ. — ერთჯერადი ხასიათი როდი აქვს. სოხუმში ჰუმანური დახმარება უკვე გაგზავნეს თელავის, გურჯაანის, საგარეჯოს, გარდაბნის, მარნეულის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, ყვარლის, თეთრი წყაროს, ბოლნისის, ახმეტის, ლაგოდეხის, დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ადიგენის, ხაშურის რაიონების, ჭიათურის ზონის მოსახლეობამ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია თელაველების, გურჯაანელების, ჭიათურელების, გარდაბნელების წვლილი, რომლებმაც რამდენჯერმე მიიღეს მონაწილეობა აქციაში.

ამ კეთილ საქმეში, თქვა საუბრის დასასრულს ბონდო პაპიძემ, უდიდეს დახმარებასა და თანადგომას გვიწევენ სამოქალაქო ავიაციისა და ნავთობპროდუქტების კონცერნის ხელმძღვანელები ზურაბ ჩაკვეტაძე და დავით ზუბიტაშვილი.

ნინო თათრულაძე.

ვაუჩერი: მითი და სინამდვილე

გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ" 1993 წლის 20 მარტს გამოაქვეყნა ასეთი ინფორმაცია: „საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოტანილი სარეფერენდუმო საკითხი: **გსურთ თუ არა, რომ სახელმწიფო საპრივატიზებო ქონება უსასყიდლოდ გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობას**".

დღეს ასეთი ინიციატივა და საკითხის ამგვარი დასმა უცხო ხილი არ არის. სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო ჩეკებით — ვაუჩერებით მოსახლეობისათვის უფასოდ დარიგების საკითხი შორს სცილდება ერთეული მკვლევარების კომპეტენციას და წარმოადგენს მთელი საზოგადოებრიობის განსჯის საგანს, მაგრამ არა მარტო იმიტომ, რომ იგი მეტად მომხიბვლელია, არამედ იმიტომაც, რომ **მედალს ორი მხარე აქვს** და ასეთი დიდი საკითხი ყოველმხრივი განხილვის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. ცხადია, ამაზე პირველ რიგში პროფესიონალებმა უნდა იმსჯელონ, თუმცა ეს არ ნიშნავს, ამ საკითხზე აზრის გამოთქმის უფლება, სხვებს არა ჰქონდეთ.

საპრივატიზებო ჩეკების, ვაუჩერების თემა მრავალ ერთეულის და კომპლექსურ საკითხს მოიცავს. აი, მხოლოდ ზოგიერთი მათგანი: **სახელმწიფო ქონების ვაუჩერიზების მიზეზი და მიზანი, ვის უნდა მიეცეს ვაუჩერი, მისი ნომინალის განსაზღვრა და ამასთან დაკავშირებით ქვეყნის ძირითადი კაპიტალის შეფასება და ინდექსირება დღევანდელი ჰიპერინფლაციის პირობებში, ვაუჩერიზების მოსალოდნელი სოციალური და ეკონომიკური შედეგები და მრავალი სხვა.**

1. ალბათ იმით უნდა დავიწყოთ, რომ ცენტრალიზებულად მართვად სოციალისტურ სახელმწიფოში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ძირითადი კაპიტალი თითქმის მთლიანად იქმნებოდა ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა მეშვეობით. მისი წყაროები, იმისდა მიუხედავად, მოგება ერქვა, ბრუნვის გადასახადი, ფიქსირებული გადასახდელები თუ სხვა რამ, განპირობებული იყო ფასწარმოქმნის სისტემით და არსებითად, ყველა შემთხვევაში, იყო **დასაქმებული მოსახლეობის შრომის აუნაზღაურებელი ნაწილი, რომლის ხარჯზეც** იქმნებოდა სახელმწიფო დოვლათი. მართალია, ამ დოვლათის ერთი (უმნიშვნელო) ნაწილი თავად მოსახლეობას უბრუნდებოდა სოციალური შეღავათების სისტემით (დაბალი ფასები, ე. წ. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები და სხვ.) და უზრუნველყოფდა მის **საარსებო მინიმუმს**, მაგრამ მეორე, ლომის წილი, სხვადასხვა ფორმით იქცეოდა ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა წყაროდ. მაშასადამე, **სახელმწიფოს ძირითადი კაპიტალი არსებითად წარმოადგენს მოსახლეობის კუთვნილებას, როგორც მის მიერ გაწეული შრომის აუნაზღაურებელი ნაწილი.**

სსრკ-ს ერთიანი სახელმწიფოს ფენომენმა განაპირობა მისი მოსახლეობის შრომის შედეგების უთანაბრო განაწილება სსრკ-ს მთელ ტერიტორიაზე. სხვანაირად, ყოფილი სსრკ-ს მთელი მოსახლეობის კუთვნილი დოვლათი განფენილია ყოფილი რესპუბლიკების ტერიტორიებზე და მოსახლეობა იურიდიულად მისი უფლებამემკვიდრეა. ქვეყნის აღმოსავლეთისა და შუა აზიის გიგანტურ კომპლექსებს და ქალაქებს, „მატერიალურ დოვლათს ურალის გაღმა-გამოღმა ეკონომიკურ სივრცეებზე სსრკ-ს მთელი მოსახლეობა ქმნიდა, **მაგრამ ახლა ყველას მხოლოდ თავის ტერიტორიაზე არსებული ქონება შერჩა**, ყველას ის ერგო წილად, რაც მის რესპუბლიკაში გაცხადდა მატერიალური დოვლათის სახით. ზოგიერთი ატომური ენერგიის მფლობელი და კოსმოსის ათვისების მონაწილე სახელმწიფო გახდა, სხვაგან კიდევ საწარმოები ჯერაც ცხრაასიანი წლების დაზგებს და მოწყობილობებს იყენებენ. მაგრამ ახლა უსარგებლოა იმის გარჩევა, თუ ვინ მოიგო და ვინ წააგო სსრკ-ს ქონების განაწილებაში, თუმცა სრულებით არ არის გამორიცხული, რომ შესაძლოა დადგეს დრო, თანაც ახლო მომავალში, როდესაც ყოფილი სსრკ-ს ხალხები, ამჟამად დამოუკიდებელი სახელმწიფოები, ქონების გადანაწილების პრეტენზიებს წაუყენებენ ერთმანეთს და თუ ეს მოთხოვნები და მისი დაკმაყოფილების საშუალებები ცივილიზებული მეთოდებით ვერ მოგვარდა, იგი დიდ საშიშროებას უქადის ყველას.

მაშასადამე, უნდა დავასკვნათ, რომ სახელმწიფო ქონება მთელი მოსახლეობის კუთვნილებაა. **მაგრამ მოსახლეობისა თუ მოქალაქისა? რადგან რესპუბლიკის მოქალაქისა და რესპუბლიკის მოსახლეობის ცნებები ადეკვატური არ არის**, სრულიად მართებულად დგება ამ საკითხში სიცხადის შეტანის საჭიროება. სადაც სამართლიანია, საპრივატიზებო ჩეკები უნდა მიეცეს მთელ მოსახლეობას, რადგან ყოფილ სსრკ-ში სახელმწიფო ქონებას ყველა ქმნიდა (ნუ გამოვეკიდებით დეტალებს). ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ ეს საკითხი ასე იოლად ვერ გადაიჭრას და დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით შესაძლოა ალტერნატივას (მოქალაქეს) გარკვეული უპირატესობაც კი ჰქონდეს.

ამრიგად, სახელმწიფო ქონების ვაუჩერიზების მიზანი უნდა იყოს (1) ცდა სამართლიანობის აღდგენისათვის, მოსახლეობისათვის კუთვნილი ქონების ნაწილის დაბრუნების ფორმით და (2) მეწარმეობის სურვილისა და უნარის მქონე მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის ერთჯერადი დახმარების გაწევა საწყისი კაპიტალის უფასოდ გამოყოფის ფორმით (ნუ დავივიწყებთ, ყოველი საპრივატიზებო ჩეკის უკან დგას შესაბამისი ღირებულების აქცია), საერთოდ კი მოსახლეობისათვის საშუალების მიცემა — წილი დაიდონ ფუნქციონირებად სახელმწიფო ქონების (საწარმოების) საქმიანობაში.

2. მეტად მწვავეა საკითხთა კომპლექსი, რომელიც ეხება ქვეყნის **ძირითადი კაპიტალის შეფასებასა და ინდექსირებას (აფასებას) დღევანდელი ჰიპერინფლაციის პირობებში** და ამასთან დაკავშირებით ვაუჩერის ნომინალის განსაზღვრის წმინდა ექსპერტულ ხასიათს.

დღევანდელ მძიმე სოციალურ და კრიმინოგენულ ვითარებაში, როდესაც ამასთანავე პარალიზებულია სახელმწიფო სამსახურების საქმიანობა (ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს სახელმწიფო სტატისტიკის სისტემა), არსებობს მხოლოდ ძირითადი ფონდების მეტად ზოგადი და მიახლოებითი მონაცემები 1992 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რომელიც 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების ფონზე ალბათ მხოლოდ წინა წლების საბუღალტრო ჩანაწერებს ეყრდნობა და **სინამდვილეში რეალობას დიდად დაშორებულია**, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ უკანასკნელ წლებში **სახელმწიფო ქონების იჯარით გაცემის და მცირე საწარმოებისა და კოოპერატივების ჩამოყალიბების მასობრივ და სტიქიურ პროცესს.**

ეს ერთი. მეორე, მონაცემები მხოლოდ ძველი ფასებითაა აღრიცხული და შეფასების დღევანდელ დონეს ისეა დაშორებული, როგორც ცა და დედამიწა. მართალია, აქ რეკომენდებულია რესპუბლიკის ცენტრალური ეკონომიკური და საფინანსო ორგანოების მიერ 1992 წლის სექტემბერ-ოქტომბერში შემუშავებული ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულების ინდექსირების ჯგუფური კოეფიციენტების გამოყენება, რომელშიც გათვალისწინებულია ძირითადი კაპიტალის ღირებულების ინდექსაცია საბაზრო ეკონომიკის თვალთახედვით. კოეფიციენტები დიფერენცირებულია ძირითადი ფონდების სახეების მიხედვით, დარგების თავისებურებათა მხედველობაში მიღებით, საშუალოდ 20-დან 60-მდე ჯერადობის ამპლიტუდით. როგორც ექსპერტული გათვლა გვიჩვენებს, კოეფიციენტების საშუალო დონე ყალიბდება 36-40-ის ფარგლებში. მაგრამ ამ შარშანდელი სექტემბერ-ოქტომბრის შემდეგ ინფლაციის პროცესი დაუოკებლად ვითარდება და შორს ჩამოიტოვა მაშინდელი მიჯნები, მომავალში კი ეს სხვაობა კიდევ უფრო გაიზრდება. მაგალითად, თუ რომელიმე სახის დაზგის საბალანსო ღირებულება შეადგენდა ვთქვათ, 20 ათას მანეთს, ინდექსაციის შესაბამისი კოეფიციენტით იგი გახდება 760 ათასი მანეთის, დღეს კი მისი ღირებულება ალბათ მილიონ მანეთს გადააჭარბებს. **ისეთი ვითარება იქმნება, რომ ფაქტიურად შეუძლებელი ხდება ქვეყნის ქონების ღირებულების დაფიქსირება რაიმე რეალური კრიტერიუმით.**

სათქმელი უნდა ითქვას.

საკითხთა ამ კომპლექსში უმწვავესია დღევანდელი (სხვისი) ფულადი ერთეულით — მანეთით (მით უფრო — ახალი კუპონებით) ქვეყნის ქონების შეფასება. ამჟამად უკვე სრულიად ბუნებრივად ჩანს, რომ **ვაუჩერის ნომინალის განსაზღვრის მთელი სამუშაო უნდა შესრულდეს ახალი ქართული ფულის შემოღების შემდეგ**. ყველა სხვა გადაწყვეტილება ნაჩქარევი და უპერსპექტივო იქნება.

ზემოთ ვაუჩერის ნომინალის განსაზღვრა ვახსენეთ.

არსებობს შეხედულება, რომ ნომინალი საერთოდ არ განისაზღვროს, რადგან საპრივატიზებო ჩეკი (ვაუჩერი) ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თვითონ შეიძენს საბაზრო ფასსა და ჩვენს მიერ მისთვის მინიჭებული ნომინალი ფიქციური ხასიათის იქნება. საკითხის ასე მარტივად და თითქოს მომგებიანად ახსნის მიუხედავად, ეს წინადადება, ჩვენი აზრით, ძირშივე მცდარია. ჯერ ერთი, ვაუჩერს რომ ღებულობს, მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რა საწყისი ღირებულების ქონებით შედის კაპიტალის მიმოქცევის პროცესში, რამდენ ვაუჩერს რამდენ აქციაში ცვლის, რას მისცემს მას ვაუჩერის ამა თუ იმ სახით რეალიზაცია და ა. შ. მეორეც, თავად სახელმწიფომ უნდა იცოდეს ის მნიშვნელოვანი პროპორციები, თუ ქონების რა ოდენობა რჩება მას უშუალოდ საკუთრებაში, რამდენი გაიყიდება აუქციონით, რამდენი — აქციონირებით და შესაბამისად — ვაუჩერებით, როგორი იქნება მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ გადაცემული ქონების ხვედრითი წილი ქონების საერთო ოდენობაში და ა. შ. საერთოდ კი, **ვაუჩერს ისევე სჭირდება ნომინალი, როგორც ფულის ერთეულს.**

ასე რომ, ვაუჩერის ნომინალის განსაზღვრის სირთულე არ უნდა გახდეს მისგან თავის არიდების საბაბი. სირთულე კი, როგორც ითქვა, ძალიან ბევრია და ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **მათ გაურკვევლად ეს სამუშაო შეიძლება რთულ, მაგრამ სრულიად უმიზნო ვარჯიშად იქცეს.**

ზემოთქმულის გათვალისწინებით, **ჩვენი ყველა გაანგარიშება** ეფუძნება ძირითადი ფონდების ღირებულებისა და ქვეყნის მოსახლეობის ოდენობის თაობაზე ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას, რომლის რეალობის ხარისხზე ზემოთ გაკვრით აღინიშნა, და ამასთანავე **ეყრდნობა წმინდა ექსპერტულ გათვლებს, რომლებიც აგებულია საკუთარ მიდგომებსა და შეფასებებზე. ამიტომ მათ არა აქვთ ალტერნატივო დასკვნების პრეტენზია და შეიძლება განვიხილოთ, როგორც მხოლოდ ერთ-ერთი მუშა-ჰიპოთეზა საპრივატიზებო ჩეკების გამოშვების სამუშაოთა ჩატარებისა და მისი ნომინალის განსაზღვრისათვის.**

3. დასაწყისში ორიოდე სიტყვა ძირითადი ფონდების შედგენილობის თაობაზე, რომელიც ხდება ვაუჩერის ნომინალის საფუძველი. ბაზად ვიღებთ მხოლოდ სახელმწიფო ქონებას, რომელიც ქვეყნის მთელი ძირითადი ფონდების 83 პროცენტია. ქონების დანარჩენი 17 პროცენტი მოდის კოოპერაციის, საწარმოო კოოპერატივების, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის პირადი ქონების წილად.

შემდეგ, სახელმწიფო ქონების საერთო ღირებულებას აკლდება ცვეთის ღირებულება (მოსახლეობა სახელმწიფო ქონებას იყიდის ან უფასოდ მიიღებს ცვეთის გარეშე, ცვეთის გამოკლებით, ქონების რეალური ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით და არა საბალანსო ჩანაწერებით), აგრეთვე საგზაო ფონდების ღირებულება, სოციალური სფეროს (ჯანდაცვის, განათლების, კულტურის, ხელოვნების) ქონების ნაწილი, რომელიც (ჯერჯერობით) სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩება.

ჩამოთვლილი გარდაქმნების შემდეგ სახელმწიფო ქონების დარჩენილი ნაწილი, რომელიც აფასებული იქნება ინდექსირების შესაბამისი დარგობრივი კოეფიციენტებით, დაახლოებით 514 მილიარდი მანეთია, ანუ მთელი ძირითადი კაპიტალის 57 პროცენტი, რაც რესპუბლიკის მოსახლეობის (1991 წელს 5421 ათასი კაცი) ყოველ ერთ სულზე გაანგარიშებით **შეადგენს საშუალოდ 95 ათას მანეთს. ეს არის ერთი ვაუჩერის ნომინალი.**

ფრჩხილში: ვაუჩერების პრაქტიკული რეალიზაცია მოხდება ძირითადად სახელმწიფო ქონების აქციონირების მეშვეობით. სახელმწიფო ქონების მეორე ნაწილი, დაახლოებით 137 მილიარდი მანეთი ანუ მთელი ქონების 15 პროცენტი მოსახლეობაზე ძირითადად გაიყიდება აუქციონირებით. დანარჩენი (დაახლოებით) 247 მილიარდი მანეთის ღირებულების (მთელი ქონების 27 პროცენტი) ძირითადი ფონდები დარჩება სახელმწიფოს საკუთრებაში. **საბოლოო ანგარიშით, ქვეყნის ქონების სამი მეოთხედი გადავა კერძო სექტორის ხელში. ასე გვესახება მომავალში საკუთრების ფორმის მიხედვით ქვეყნის ძირითადი კაპიტალის განაწილების სქემა.**

სახელმწიფო ქონების ვაუჩერიზების პროცესი უნდა დაიყოს ეტაპებად და განხორციელდეს ამ ქონების შესაბამისი ნაწილის აქციონირების კვალობაზე, რათა ვაუჩერის მფლობელს მიეცეს დანიშნულებისამებრ მისი რეალიზების საშუალება. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სახელმწიფო ქონება არც აქციონირებით და არც აუქციონირებით ერთი ხელის დაკვრით და ერთი ამოსუნთქვით არ გაიყიდება. ეს ურთულესი პროცესი მჭიდროდ უკავშირდება მოსახლეობის სოციალურად სუსტად დაცული ფენების ინტერესებს და საქმე თუ გააზრებული და მოზომილი პოლიტიკით არ წარიმართა, „მეტისმეტად თამამი" მოღვაწეების „გაბედულ ნაბიჯებს" შეიძლება სოციალური აფეთქება მოჰყვეს. საპრივატიზებო ბილეთები (ვაუჩერები) რამოდენიმე ეტაპად უნდა იქნეს გამოშვებული და მისი ნომინალი (95 ათასი მანეთი) ამ ეტაპების მიხედვით (ვთქვათ 20-20 ათას მანეთიან ნომინალებად) დაიყოს. თითო ვაუჩერის რეალიზაცია (აქციებში გადაცვლა) ალბათ ერთი წლის მანძილზე უნდა მოხდეს. მომდევნო ეტაპზე კი ბრუნვაში ახალი ვაუჩერი შემოვა და ა. შ. **მთელი ნომინალი 4-5 წლის მანძილზე ამოწურავს მასში მატერიალიზებულ ეკონომიკურ დატვირთვას (95 ათას მანეთს).**

4. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ვაუჩერიზების სოციალური ასპექტები. ჩვენ არ ვიზიარებთ იმ გულუბრყვილო იმედებს, რომ ვაუჩერით მიღწეული იქნება სრული სოციალური სამართლიანობა. **დღევანდელ ვითარებაში, როდესაც ეკონომიკურ და საფინანსო სისტემებს ანგრევს მძლავრი ჰიპერინფლაციური პროცესი, რომელიც არსებითად ღარიბებზე დაკისრებული დამატებითი გადასახადია, ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ვაუჩერი გახდება არსებობის ერთდროული ხასიათის დამატებითი წყარო და მათი ხელიდან იგი დაუბრკოლებლად გადაინაცვლებს მოსახლეობის მდიდარი ფენების ხელში.** ამ პროცესს ვერ შეაჩერებს ვაუჩერის პერსონიფიცირებაც (მფლობელის გვარისა და სახელის აღნიშვნა), რადგან ნებისმიერ მოქალაქეს ექნება მისი „გაყიდვის" უფლება. დანიშნულების მიხედვით ვაუჩერის გამოყენების ერთადერთ, ცოტად თუ ბევრად „შემარბილებელ" საშუალებად მიგვაჩნია ვაუჩერის დარიგების პროცესის დამთხვევა ქვეყნად სახელმწიფო ქონების აქციონირების პროცესთან, ამ ორი პროცესის პარალელურად და ინტენსიურად წარმართვა.

დასასრულ, მთელი სერიოზულობით უნდა ითქვას, რომ **სახელმწიფო ქონების, როგორც საერთოდ პრივატიზების, ისე ვაუჩერიზების სამუშაოები უნდა ჩატარდეს მშვიდობიან სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებაში. სახელმწიფო ხელისუფლებამ უნდა შექმნას როგორც თავისი, ისე კერძო საკუთრების დაცვის მტკიცე გარანტიები.** სხვანაირად, ე. ი. დღევანდელ ურთულეს საომარ და კრიმინოგენულ ვითარებაში, სახელმწიფო საკუთრების ტრანსფორმირების პროცესი ნორმალურად ვერ განხორციელდება, ხოლო თუ ეს პროცესი მაინც დაიწყება, არსებული ჰიპერინფლაციის ფონზე, მას, ვიმეორებთ, შეიძლება სოციალურად დამანგრეველი შედეგები მოჰყვეს. თუნდაც ის გარემოება, რომ **განხილულ პრობლემათაგან გარკვეული ნაწილის გადაწყვეტა, ჩვენი აზრით, მხოლოდ პარლამენტის პრეროგატივაა**, მეტყველებს ამ სამუშაოთა სირთულესა და დიდ სამომავლო მნიშვნელობაზე.

ამრიგად, ამ წერილის დასაწყისში ნახსენებ სარეფერენდუმო საკითხს, საქართველოს მოსახლეობისათვის მთელი სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, ვფიქრობ, შეიძლება ასე ვუპასუხოთ: ნეტარ არიან მორწმუნენი...

ამირან ბაბისონია,
საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი.

„რესპუბლიკელები" სხვა აზრისანი არიან

11 აპრილის განცხადება

ამ დღეებში საქართველოს ტელევიზიითა და რადიოთი გადაიცა საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტისა და საპარლამენტო ფრაქციის „რესპუბლიკელების" განცხადება, რომელიც ეხებოდა ინციდენტს, ამ პარტიის წარმომადგენლებს რომ შეემთხვათ აჭარაში. გთავაზობთ ამ განცხადების ტექსტს:

8-11 აპრილს რესპუბლიკური პარტიისა და საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელების" წევრებმა შეხვედრები ჩავატარეთ ბათუმში, ქუთაისში, ზესტაფონში, ხარაგაულში, რის შესახებაც წინასწარ ვაცნობეთ პარლამენტის სპიკერს ბ-ნ ვ. გოგუაძეს.

აჭარაში ჩვენი ორგანიზაციისა და მისი ცალკეული წევრების მიმართ განხორციელებული პოლიტიკური ტერორის ფაქტების ფონზე, გადავწყვიტეთ თავი შეგვეკავებინა ფართო საზოგადოებრიობასთან შეხვედრისაგან, რასაც ჩვენი გამოცდილების გათვალისწინებით, შესაძლოა, მოჰყოლოდა ინსპირირებული ექსცესები და პირდაპირი პროვოკაციები. შემოვიფარგლეთ რესპუბლიკური პარტიის ბათუმის ორგანიზაციის წევრებთან სამუშაო შეხვედრით. ბათუმში ჩვენს ჩასვლამდე რამდენიმე საათით ადრე აჭარის უზენაესი საბჭოს წევრმა რესპუბლიკური პარტიისაგან გ. მასალკინმა შეატყობინა ადგილობრივი ხელისუფლების თანამდებობის უმაღლეს პირებს ჩვენი ჩასვლის ამბავი.

რესპუბლიკური პარტიის ბათუმის ორგანიზაციის წევრებთან ჩვენი სამუშაო შეხვედრის დაწყებიდან რამდენიმე საათის გასვლის შემდეგ დარბაზის კართან შეიკრიბა 50-მდე აგრესიულად განწყობილი ადამიანი, მათ შორის — შეიარაღებულნიც, რომლებმაც ჩაშალეს ღონისძიება, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს საქართველოს პარლამენტის წევრებს, მოსთხოვეს მათ დაეტოვებინათ აჭარის ტერიტორია, ხოლო რამდენიმე მათგანს ფიზიკური ანგარიშსწორებითაც დაემუქრნენ. ყოველივე ეს ხდებოდა აჭარის სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებელ მუშაკთა თვალწინ, რომლებმაც მხოლოდ მას შემდეგ მიიღეს ზომები დეპუტატთა გამოხსნისათვის, როცა ნათელი გახდა, რომ პარლამენტართა ფიზიკური უსაფრთხოება ეჭვის ქვეშ დადგა. რომ არა რესპუბლიკური პარტიის თითოეული წევრის თავშეკავება და სიმშვიდე, პროვოკაცია უაღრესად საშიშ ხასიათს მიიღებდა.

მეორე დილას ქუთაისში დაგეგმილი გამგზავრების წინ პარლამენტის წევრებმა რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ძაბირაძემ და საპარლამენტო ფრაქცია „რესპუბლიკელების" თავმჯდომარემ ე. ხმალაძემ შეიტანეს განცხადება მომხდარი ფაქტის თაობაზე აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გ. ვარშალომიძის სახელზე.

მიუხედავად ამისა, ნახევარი საათის შემდეგ ჩაქვის საგუშაგოზე უფორმო შეიარაღებული ადამიანების მიერ რაიმე საბუთების წარუდგენლად გააჩერეს ჩვენი მანქანები, უხეშად დაირღვა დეპუტატების ხელშეუხებლობა, გაისმოდა მუქარა, შეურაცხყოფა და პროვოკაციული მოთხოვნები საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატების მიმართ. ყოველივე ამას გულგრილად ადევნებდნენ თვალყურს სახელმწიფო ავტოინსპექციის ოფიცრები ქუჩის მეორე მხრიდან. გზის გაგრძელება შევძელით მხოლოდ ორმოციოდე წუთის დაგვიანებით.

საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატები რესპუბლიკური პარტიისაგან მტკიცე პროტესტს გამოვთქვამთ მომხდარი ფაქტების გამო და მოვითხოვთ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისაგან მუშაობის ნორმალური პირობების უზრუნველყოფას, კანონიერების მკაცრ დაცვასა და აჭარაში მძვინვარე პოლიტიკური ტერორის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

თბილისი.
1993 წლის 11 აპრილი.

პასუხის პასუხად

აღნიშნული განცხადების საპასუხოდ, ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა აჭარის ხელმძღვანელთა წერილი, რომელიც, ჩვენი აზრით, ნათელს ჰფენდა ამ ფაქტს. მაგრამ „რესპუბლიკელებმა" მოითხოვეს დაგვებეჭდა მათი პასუხიც აღნიშნულ წერილზე, რომელსაც ახლა გთავაზობთ:

— აღნიშნული განცხადების საქართველოს ტელევიზიით გამოქვეყნების შემდეგ ჩვენ აღარ ვაპირებდით, დავბრუნებოდით აჭარაში მომხდარ ინციდენტებს, მაგრამ „საქართველოს რესპუბლიკაში" (1993 წ. 14 აპრილი) ინფორმაციის — „პარლამენტარები ჩავიდნენ აჭარაში..." — გამოქვეყნების შემდეგ იძულებული გავხდით კვლავ დავუბრუნდეთ ამ საკითხს.

ვაცხადებთ, რომ აჭარის ხელისუფლების ორი მაღალი ჩინის მოხელის მიერ გაზეთისათვის მიწოდებული მასალა აყალბებს ბევრ ფაქტს და ინციდენტის არსს. ჩვენი ბათუმში ჩასვლის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას ჩასვლამდე რამდენიმე ხნით ადრე ეცნობა და არა ჩასვლის შემდეგ. არც დავით ბერძენიშვილის ჩასვლა დაგვიმალავს. ამას, სხვა ბევრ გარემოებასთან (რომლებსაც აღარ ჩამოვთვლით) ერთად, ადასტურებს ის ფაქტი, რომ ბათუმში ჩასულებს რესპუბლიკელების მარტში ორჯერ დარბეული ოფისის წინ უკვე დიდი ხანია „გველოდებოდნენ" ე. წ. მილიციის ხელშემწყობი სახალხო რაზმელები, მეთაურებითურთ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, სულაც არ ვართ ვალდებულნი, ვაცნობოთ ადგილობრივ ხელისუფლებას საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში ჩასვლისა და ჩვენი პარტიის იქაურ ორგანიზაციასთან შეხვედრის შესახებ.

რესპუბლიკელთა აჭარაში ჩასვლის პროვოკაციად მონათვლა რეგიონის ხელმძღვანელთა მიერ აჭარის ხელისუფლების იმ მიზანმიმართული პოლიტიკის დადასტურებაა, რომლის მიზანია აჭარაში რესპუბლიკური პარტიის საქმიანობის ფაქტობრივი აკრძალვა და აჭარის ხელისუფლების საქმიანობაზე ოპოზიციური აზრისათვის ტაბუს დადება.

ბათუმში რესპუბლიკელთა შეკრების ადგილზე ჩვენი პარტიის პოლიტიკური კურსით უკმაყოფილო რამდენიმე ასეულმა კაცმა კი არ მოიყარა თავი საყოველთაო აღშფოთების გამოსახატავად, როგორც ამას აჭარის ხელისუფალნი ამტკიცებენ, არამედ 50-მდე ე. წ. სახალხო რაზმელმა, რომლებიც ორგანიზებული, შეიარაღებული და მართული იყო რეგიონის ხელისუფლების მიერ და რომელთა ანგარიშზე წელიწადნახევრის განმავლობაში არაერთი პოლიტიკური ხასიათის დანაშაული ირიცხება. ასე რომ, ეს ინციდენტი არ გამოუწვევია არც ბათუმელებს, არც საერთოდ აჭარის მოსახლეობას.

არც ისაა მართალი, თითქოს სახალხო რაზმელებს „არავითარი პრეტენზიები არ გამოუთქვამთ „იქ მყოფი მისი (დავით ბერძენიშვილის) თანაპარტიელების მიმართ". რაზმელებმა რამდენჯერმე სცადეს რესპუბლიკური პარტიისაგან აჭარის უზენაესი საბჭოს წევრის ოთარ ზოიძის ჩათრევა ბრბოში, რასაც თან ახლდა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

აჭარის ხელისუფალნი საერთოდ თვალს ხუჭავენ ჩაქვის საგუშაგოსთან მომხდარ ფაქტზე, რომელიც ბათუმის ინციდენტის ლოგიკური გაგრძელება იყო. აქ ავტომატიანმა რაზმელებმა მოითხოვეს დავით ბერძენიშვილის მათთვის „გადაცემა", ხოლო შემდეგ მოკვლით დაემუქრნენ, თუკი ის კვლავ გაბედავდა აჭარაში ჩასვლას. ოთარ ზოიძეს კი „შესთავაზეს", „დარჩენილიყო სამშობლოში და არ წასულიყო საქართველოში", წინააღმდეგ შემთხვევაში აჭარაში არ ჩაუშვებდნენ. ხოლო ერთ-ერთმა ავტომატიანმა რაზმელმა ივლიანე ხაინდრავას ასე მიმართა: — „შენ ჯობი უნდა გეჭიროს ხელშიო". გაისმოდა მუქარები თამაზ დიასამიძისადმი, რომელიც იქ საერთოდ არ იმყოფებოდა.

რაც შეეხება რესპუბლიკური პარტიის ბათუმის ორგანიზაციის გადაქცევას „პირადად ბატონ ა. აბაშიძის წინააღმდეგ მიმართულ პარტიად", აღვნიშნავთ, რომ ეს მეტისმეტი პატივი იქნებოდა ბატონ აბაშიძისათვის, რესპუბლიკური პარტია ემსახურება საქართველოს საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს და ჩვენი კრიტიკის ობიექტი შეიძლება იყოს ამ ინტერესების საზიანოდ მოქმედი ყველა პიროვნება. ესაა და ეს.

ვითარების შემდგომი შესაძლო გამწვავების გამო აჭარის ხელისუფლების მიერ პასუხისმგებლობის თავიდან მოხსნის შესახებ განცხადება ფრიად არასერიოზულად ჟღერს; რა ხელისუფლებაა ის ხელისუფლება, რომელიც ამის გამო იხსნის პასუხისმგებლობას.

და ბოლოს, კვლავ ხაზგასმით გვსურს აღვნიშნოთ, რომ ბათუმის და ჩაქვის ინციდენტებთან არავითარი კავშირი არა აქვს აჭარის მოსახლეობას და პოლიტიკური პასუხისმგებლობაც აღნიშნული აქციების გამო მთლიანად ეკისრება აჭარის ხელისუფლებას — ვინც ეს ე. წ. სახალხო რაზმი ჩამოაყალიბა, შეაიარაღა და იყენებს პოლიტიკური ოპონენტების დასათრგუნავად.

გალაკტიონ ტაბიძის პრემია — ანზორ სალუქვაძეს

14 აპრილს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი ჟიურის სხდომა.

ჟიურის გადაწყვეტილებით გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემია მიენიჭა პოეტ **ანზორ სალუქვაძეს** 1992 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს" 24 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული ლირიკული პოემისათვის „იმიტაცია გალაკტიონ ტაბიძის პოემისა „ჯონ რიდი"".

რუსეთის პრესიდან

ჩამოწერილი პრეზიდენტის თავშესაფარი

ზვიად გამსახურდია კვლავ დისიდენტის ქურქში და უჰალსტუხოდ

„პრესის უზომო ყურადღება და პოპულარობა საკმაოდ სწრაფად ბეზრდება ადამიანს", — გავიფიქრე მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტის ჩემმა პრესცენტრელმა კოლეგებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს ინტერვიუ ჩამოერთმიათ ერთი წლის წინათ დამხობილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასათვის, მტკიცე უარი მიიღეს. ტელეფონით მათ განუცხადეს, რომ „სისხლიანი პროკრემლული ხუნტის" წარმომადგენლებთან ბატონ პრეზიდენტს საუბარი არ სურს, და ყურმილი ჩამოკიდეს.

მოვლენების ასეთი შემობრუნების შემდეგ იმედი გამიჩნდა, იქნებ არ ღირდეს მოსკოვიდან ჩამოსულმა გამსახურდიას დაურეკო-მეთქი. დაახლოებით [illegible] დღის საღამოს თერთმეტ საათზე დუდაევის სასახლეში ვიყავი. საუბარი შეეხო გროზნოში ქართველი ექსპრეზიდენტის ყოფნას, და ვთქვი, კარგი იქნება, თუ გამსახურდია შემხვდება-მეთქი. ტრადიციული აღმოსავლური გულითადობით მაგრძნობინეს, რომ ეს სულ ხუთიოდე წუთის საქმე იყო. და მართლაც, მალე დუდაევის უშიშროების სამსახურის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა აბუმ ჯიპით მიმიყვანა რკინის ჭიშკრამდე.

ფარებმა გაანათეს ხეთა ჩრდილებში ჩაფლული საკმაოდ დიდი ორსართულიანი ცალკე შენობა. „ოჰო!" — გავიფიქრე გულში. „სტუმრები ჩვენთან მუდამ ასე ცხოვრობენ!" — ამაყად მითხრა აბუმ.

გამსახურდიას, სხვათა შორის, იგი დიდი ხანია იცნობს: 1992 წლის იანვარში აბუ ხელმძღვანელობდა სომხეთიდან ჩეჩნეთში ექსპრეზიდენტის გადაყვანას.

სასტუმრო ოთახში გამსახურდიას ორი ვაჟიშვილი გატაცებით თამაშობდა კარტს. იქვე მცველი აზარტით უყურებდა ტელევიზორის პირველ პროგრამას. ტელევიზორი საკმაოდ მოძველებული იყო და ფერადსაც ვერ უჩვენებდა. კედელზე გაკრული იყო სსრ კავშირის მფრინავის ფორმაში გამოწყობილი მომღიმარე დუდაევის სურათიანი პლაკატი ციტატით: „მონა, რომელიც არ ცდილობს თავი დააღწიოს თავის მდგომარეობას, ორმაგ მონობას იმსახურებს" და საკმაოდ მოზრდილი წარწერა: „ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტი".

მდივანმა თითქმის ზღურბლიდან მომახალა — პრეზიდენტი ინტერვიუს არ მოგცემთ, სანამ კითხვებს არ გაეცნობა. ეშმაკმა დალახვროს! ჩამოვწერე ბლოკნოტიდან ამოხეულ ფურცლებზე. ბოლოს ვილის მეორე სართულზე ავედით, და მცველმა გამსახურდიას კაბინეტის კარი ყურთამდე გააღო. კაბინეტს არა უშავდა: დივანი, პატარა მაგიდა, წიგნიანი სავარძელი, იაპონური ტელევიზორი და ვიდეო. ნახევარი ოთახი გაზეთებითა და წიგნებით იყო სავსე. ზვიადი რუხი ფერის კოსტიუმში დამხვდა, უჰალსტუხოდ იყო. დაღლილი სახით შემომყურებდა ვიწრო პატარა სათვალიდან. საერთოდ მას დაღლილი გამომეტყველება აქვს. ამბობენ, ჩეჩნეთში იშვიათად თუ სადმე წავაო, საქართველოში კი 1992 წლის იანვრიდან აღარ ყოფილა.

— ოღონდ გთხოვთ ექსპრეზიდენტს ნუ დამიძახებთ, — მაშინვე მითხრა გამსახურდიამ. — პარლამენტს ჩემთვის იმპიჩმენტი არ მოუწყვია და არც გადავმდგარვარ, მე განდევნილი პრეზიდენტი ვარ.

ბოდიში მოვუხადე, იძულებული ვიყავი, ამას შეჩვეული ვარ. „განდევნილი პრეზიდენტი" მაინც ცოტა გრძლად ჟღერს. „განდევნილ პრეზიდენტს" ხომ არ დაგიძახებთ, ზვიად კონსტანტინეს ძევ?

— **წელიწადზე მეტი გავიდა, რაც სამხედრო გადატრიალების შედეგად დაგამხეს. რას აკეთებდით მთელი ამ ხნის მანძილზე?**

— ვამხილებდი და კვლავაც ვამხილებ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ შევარდნაძის ხუნტის დანაშაულობებს, ვცდილობ შევანელო ის საზარელი ხვედრი, რომელიც ჩემს ხალხს ხვდა წილად. პრესის წარმომადგენლებს ვეუბნები სიმართლეს საქართველოში მომხდარი ამბების შესახებ, ვუგზავნი მიმართვებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, დასავლეთის მთავრობებს.

— **მოუწოდებდით თუ არა თქვენს მომხრეებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწიათ სახელმწიფო საბჭოს ჯარისკაცებისათვის?**

— არავითარ შემთხვევაში. ამას მეტად დიდი სისხლისღვრა მოჰყვებოდა. ჩემი კრედოა სამოქალაქო დაუმორჩილებლობა.

ალალად რომ ვთქვა, არ მესმის რატომ ნერვიულობს ასე საქართველოს ახლანდელი რეჟიმი, რომელიც გამსახურდიას გადაცემას ჯიუტად მოითხოვს. არსებითად ხომ იგი საშიში აღარ არის თბილისისათვის. ეს ხელს აძლევს ზვიადს, დისიდენტის ქურქი მისთვის უფრო ჩვეულია, ვიდრე სახელმწიფოს მეთაურის სავარძელი. ახლა იგი გაცილებით უფრო პრივილეგიურ მდგომარეობაშია, ვიდრე სამოცდაათიან წლებში, — მას აღარ დასდევს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოვლისმომცველი თვალი.

— **რატომ არ მიიღეთ მონაწილეობა ოქტომბრის არჩევნებში? თუ არ ვცდები, თქვენ შემოგთავაზეს...**

— ეს არჩევნები უკანონოა, იგი ფალსიფიცირებულია, ხმის მიცემაში მოსახლეობის ოთხმოცი პროცენტის მონაწილეობის შესახებ მონაცემები კომუნისტური ზღაპრებია.

მაგრამ, უნდა ითქვას, „ეს ზღაპრები" მას არ შეუმოწმებია. 1992 წლის ოქტომბრის არჩევნებს საქართველოში ესწრებოდნენ რამდენიმე სახელმწიფოს, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის წარმომადგენლები. ისინიც, ვინც სიმპათიით ეკიდება გამსახურდიას და ისინიც, ვისაც იგი სძულს, — ერთი აზრისაა, რომ არჩევნები შეესაბამებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

— **გაქვთ თუ არა კავშირი განთქმულ „ზვიადიზმის ანკლავთან" ზუგდიდში?**

— ტერმინი „ზვიადიზმი" გამოიგონა ნეოსტალინურმა ხუნტამ კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა ტოტალური მოსპობისათვის. მომხრეები მარტო ზუგდიდში კი არა, მთელ საქართველოში მყავს. შევარდნაძეს ლოიალურად მოსახლეობის დიდი-დიდი 15 პროცენტი თუ ეკიდება. თბილისში გამოდის ოთხი გაზეთი — მარტო ერთი „იბერია სპექტრი", 40 ათასი ეგზემპლარი — ყველაზე პოპულარული გაზეთია საქართველოში. ეს გაზეთები მე მიჭერენ მხარს. უბრალოდ, თუ თბილისში დემონსტრაციაზე ჩემი ხალხი გამოვა, მათ დახოცავენ, ზუგდიდში კი ეს არ მოხდება. აი, ეს არის განსხვავება.

— **სხვათა შორის, გაზეთების შესახებ. როგორც ვხედავთ, შევარდნაძის დროს ოთხი ოპოზიციური გაზეთი გამოდის, თქვენი მმართველობისას კი ყველა გაზეთი იყო დახურული...**

— ეს არ ყოფილა! თუ რაღაც ორიოდე გაზეთს სახელი შეუცვალეს, ეს როდი ნიშნავს, რომ ისინი დახურეს.

— **აბა, რას იტყვით „იზვესტიაში" 1991 წლის ივლისის პუბლიკაციის აკრძალვაზე?**

— რას ჩამაცივდით ამ თქვენი „იზვესტიით"?! აი, ახლა საქართველოში არც ერთი ცენტრალური გაზეთი არ გამოდის, ამაზე რატომ არავინ არ წერს? მე სულაც არ ვყოფილვარ „იზვესტიის" სტატიის წინააღმდეგი, უბრალოდ, ხალხმა თქვა უარი მის დაბეჭდვაზე.

ძალიან მომინდა გამსახურდიასათვის მეკითხა, ხომ არ ეწევა ხალხის ექსპორტს, რადგან ახლახან „იზვესტია" არ დაბეჭდეს „დემოკრატიულ უზბეკეთში", და იქაც „ხალხის მოთხოვნით". საინტერესოა, იქნებ იმავე ხალხისა?

— **თქვენი დამოკიდებულება აფხაზეთისადმი?**

— მკვეთრად უარყოფითი. აფხაზეთი არ შეიძლება ჩამოაცილონ საქართველოს. სუვერენული აფხაზეთის იდეამ შეიძლება დაღუპოს მისი ხალხი. მე მშვიდობიანი პოლიტიკური მეთოდებით ვიხელმძღვანელებდი.

— **სამხრეთ ოსეთში?**

— იქ სხვა სიტუაციაა, — მომიჭრა გამსახურდიამ. — ქართველების ხოცვა დაიწყეს, ამიტომაც იძულებული გავხდით იქ გაგვეგზავნა ძალები წესრიგის დასამყარებლად, იქაც შეტაკებანი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ იყო ინსპირირებული.

— **თქვენ გამოიგონეთ ლოზუნგი „საქართველო — ქართველებისათვის!"**

— მოსკოვის პროპაგანდის მორიგი მონაჭორია. ჩემი ლოზუნგია — „საქართველო ქართველებს უნდა ეკუთვნოდეს!", რაც გულისხმობს ყველა ერის თანასწორუფლებიან თანაარსებობას.

აი ასე. „გულისხმობს". არადა, სოციალ-პატრიოტებმა თუ ვერ გაიგეს, ან ვერ იგულისხმეს, მაშინ... მაშინ რა იქნება? მოგვიანებით უკვე მოსკოვში, ეს გამახსენდა, როცა რუსეთის პარლამენტის სპიკერი ალაპარაკდა იმაზე, რომ იგი ეწევა პრორუსულ პოლიტიკას, რომელიც გულისხმობს... ამას შოვინიზმი ეწოდება. საქართველოც, რუსეთიც და ნებისმიერი სხვა ქვეყანა უნდა ეკუთვნოდეს ყველას, ვინც იქ ცხოვრობს. ყოველგვარი „გულისხმობის" გარეშე.

— **გავლენას ახდენს თუ არა თქვენზე პოლიტიკური კრიზისი ჩეჩნეთში? ადგილობრივი პარლამენტის სპიკერი ახმადოვი ხომ მოითხოვს აგეკრძალოთ პოლიტიკური საქმიანობა?**

— ეს ახმადოვის პირადი აზრია. ჩეჩნეთის ხალხსა და პარლამენტს ასე არ მიაჩნიათ. ჩემი გაძევება სურთ მხოლოდ ჩეჩნეთის სახელმწიფოებრიობის მოწინააღმდეგეებს.

სამწუხაროდ, ზვიადის მიმართ ასეთი აზრი მარტო ახმადოვს კი არა, მთელ პარლამენტსაც ეკუთვნის. ბევრ ჩეჩენს აღიზიანებს თავად ექსპრეზიდენტი და ის თვალ-მარგალიტი, რომელსაც უხვად აძლევს სტუმართმოყვარე დუდაევი. დუდაევი კი მუდამ ლაპარაკობს სტუმართმოყვარეობის კანონებზე და იმედოვნებს, რომ, თუ გამსახურდია ხელისუფლებას დაიბრუნებს, დაიწყება ჩეჩნეთის საყოველთაო აღიარება — საქართველო ხომ პირველი სახელმწიფო იქნება, რომელიც მას ცნობს.

— **აქ რამდენი მცველი გყავთ?**

— მთელი ჩეჩენი ხალხი მიცავს.

— **არა, სერიოზულად გეკითხებით.**

— მე მიცავს ჩემი სახლის მახლობლად განლაგებული ჩეჩნეთის გვარდიის ნაწილი, რომელმაც 1992 წლის მარტში გადატრიალების მცდელობისას მიხსნა. არიან აგრეთვე პირადად ჩემთან დაახლოებული ჩეჩენი და ქართველი მცველები, რომლებიც სრულიად უსასყიდლოდ მსახურობენ. ასე რომ, შეგიძლიათ გადასცეთ რუსეთის სპეცსამსახურებს, რომლებმაც აქ გამოგგზავნეს, გამსახურდიას კარგად იცავენ-თქო.

— **რამდენიმე წლის შემდეგ უფლებამოსილება დაგიმთავრდებათ. რას გააკეთებთ?**

— პარლამენტს შევკრიბავ და იგი უფლებამოსილებას გამიგრძელებს.

— **და რამდენ ხანს გაგრძელდება ასე?**

— იმდენ ხანს, რამდენსაც ხალხი მოინდომებს.

— **ესე იგი, მთელი სიცოცხლის მანძილზე პრეზიდენტად ყოფნა გსურთ?**

— ეს ხალხის სურვილზე იქნება დამოკიდებული.

ურიგო არ არის. სხვათა შორის, ხალხი — ეს არის დაახლოებით 60 „ზვიადისტი" დეპუტატი ქართული პარლამენტის 250 დეპუტატიდან. საერთოდ კი, კონსტიტუციით საპრეზიდენტო უფლებამოსილებათა განგრძობისათვის ხმების ორი მესამედია საჭირო.

— **რამეს თუ ნანობთ?**

— ძალიან ლმობიერი ვიყავი. ჰკითხეთ ნებისმიერ ქართველს და გეტყვით, რომ ეს ასეა. მაშინ ანარქია და ქაოსი იყო და უნდა გამომეჩინა სიმკაცრე. ვერ ამოვიცანი სიგუასა და კიტოვანისნაირი ორპირები.

ვფიქრობ, საჭირო არ არის გავიხსენოთ, თუ როგორ მოუწოდებდა ლმობიერი გამსახურდია ქვებით ჩაექოლათ ოპოზიცია. ლმობიერზე ვერაფერს ვიტყვი, აი გაუბედავი რომ იყო, — ეს ასეა.

— **ხელისუფლება რომ დაიბრუნოთ, ყველას დახვრეტდით?**

— არა, რას ბრძანებთ, ჰუმანური კაცი ვარ. ისინი საშინელი ადამიანები არიან. შევარდნაძე მათ ხელში ნამდვილად ნომინალური ფიგურაა. იგი ცოტა ხანს თუ გაძლებს.

— **მაინც რამდენ ხანს?**

— ძალიან ცოტა ხანს.

— **მაინც ერთ წელს, ორ-სამ თვეს?**

— თქვენი კალენდარი ხომ არა ვარ. მარტო ის ვიცი, რომ ცოტა ხანს გაძლებს. დასჯასაც არავის ვუპირებ, მე ჯალათი არა ვარ. მაშინ კი მკაცრი ზომები საჭირო იყო. დემოკრატია სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანს ყველაფრის უფლება ჰქონდეს.

ეს ითქვა თუ არა, ყველაფრის ინტერესი დავკარგე. „შენს პირს შაქარი", — ვიფიქრე მე. სპიკერებო, პრეზიდენტებო, დიქტატორებო, პარტიულო ბოსებო — ერთხელ მაინც სცადეთ ეს პრინციპი საკუთარ თავზე!... არადა, დასხდებით, დაიწყებთ ხმების დათვლას, უყურებთ იაპონურ ტელევიზორებს, ამაყად აქილიკებთ „სისხლიან კრემლის ხუნტას", ფიცხელად „ხელმძღვანელობთ" საკუთარ ხალხს... თავშესაფრებიდან ჩამოწერილი პრეზიდენტებისათვის. ვინა ხართ თქვენ? სადა ხართ?... ახსოვხართ თუ არა ხალხს, რომელმაც გაგაძევათ?

ამას მარტო გამსახურდიაზე როდი ვამბობ: უკვე თითქმის ხუთმა პრეზიდენტმა პოვა „თავშესაფარი"... ახალი მოვლენაა? ან იქნებ ძველი კავშირის ახალი მოარული სენია ეს?...

წასვლა რომ დავაპირე, გამახსენდა, ერთი, გამსახურდიაზე ფანატიკურად შეყვარებული, მანდილოსანი შემევედრა: მისი ბროშურა ჩამომეტანა.

ზვიადმა ხელი ჩაჰყო უზარმაზარ სავარძელში, რომელშიც იჯდა და ბარე ათი ბროშურა მიბოძა.

ჰოლში აბუ ვაჟკაცურად ერკინებოდა პოკერში გამსახურდიას შვილებს. ეტყობოდა, აგებდა...

გიორგი ზოტოვი,
გროზნო-მოსკოვი.
„სობესედნიკი".

ივერიელი ბიბლიოთეკა

მგზავრების სიცოცხლეს საიმედოდ დაიცავენ

ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურ-პოლიტიკურმა ვითარებამ უკიდურესად გაამწვავა კრიმინოგენური ვითარება. სხვა გართულებასთან ერთად, მოსახლეობისათვის მეტად გაძნელდა მგზავრობა. სწორედ ამ პრობლემის თაობაზე საინფორმაციო კორესპონდენტი ესაუბრა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს დავით სალარიძეს:

— რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა სპეციალიზებული ნაწილების ლეგიონის სტრუქტურა და დებულება, — თქვა ბატონმა დავითმა, — არსებული ოცეულების ბაზაზე შეიქმნა საგზაო პოლიციის ტერიტორიული განყოფილება შესაბამისი სამორიგეო ნაწილით, სამძებრო-საგამოძიებო სამსახურებითა და ინსპექტორთა გაძლიერებული შემადგენლობით. 43 ერთეულამდე გაიზარდა სტაციონარული სადღეღამისო საგუშაგოების რაოდენობა. ისინი ახორციელებენ სატრანსპორტო ნაკადების შემოწმებას.

ახლად შექმნილი საგზაო პოლიციის ტერიტორიული განყოფილებების სამოქმედო ტერიტორია დაყოფილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებზე გამავალი ცენტრალური ავტომაგისტრალების მიხედვით. განყოფილებების ხელმძღვანელობა მდებარეობს ავტომაგისტრალებზე, შესაბამისად სოფლებში — თელეთში, ნატახტარში, ოსიაურში, კაჭრეთში, ქარალეთში, ასპინძის რაიონის სოფელ რუსთავში, ქუთაისის მახლობლად ქვიტირში, ქ. ზუგდიდში, სამტრედიის რაიონის სოფელ დაფნარში, ქალაქ რუსთავის მახლობლად და დუშეთის რაიონის დაბა ჟინვალში. ამ ხნის მანძილზე დანაშაულობასთან ბრძოლაში გარკვეული შედეგებია მიღწეული. მთლიანად რეგისტრირებული 127 დანაშაულიდან გახსნილია 94, დამნაშავეთა ხუთ ჯგუფს ჩამოერთვა 15 ავტომატი, 10 პისტოლეტი, 3 თოფი, 8 ხელყუმბარა, 500 ნაღმი, 600 ვაზნა, დაკავებულია 10 გატაცებული ავტომანქანა, ჩამორთმეულია 200 გრამი ოპიუმი, 760 გრამი ანაშა და სხვა.

რესპუბლიკაში შექმნილმა რთულმა კრიმინოგენულმა ვითარებამ გვაიძულა დაჩქარებული ტემპებით განგვეხორციელებინა ლეგიონის კადრებით დაკომპლექტება. შერჩევისას ვხელმძღვანელობდით გარკვეული კრიტერიუმებით (არ გამოვრიცხავთ, რომ შეიძლება შემთხვევით ხალხსაც ჩავაცვით ფორმა). ადრე დაშვებული სერიოზული შეცდომების გამო, 7 ოფიცერი გავათავისუფლეთ თანამდებობიდან. მომავალშიც სერიოზული მიზანმიმართული მუშაობა მოგვიხდება. ვფიქრობ, ახალმა დანაყოფმა ძირეულად უნდა შეცვალოს მოსახლეობაში ყოფილ ავტოინსპექტორთა მიმართ არსებული უარყოფითი აზრი.

მინდა თქვენი ყურადღება ერთ ფაქტზე გავამახვილო: ბოლო პერიოდში გახშირდა მეზობელ თურქეთში ჩვენი მოქალაქეების ავტობუსებით მასობრივი მგზავრობა. მათი სამართლიანი გულისწყრომის მიზეზი ხდება ის, რომ ყოველ თვის ნაბიჯზე ავტობუსებს აჩერებენ საგზაო პოლიციის თანამშრომლები იმ მოტივით, თითქოსდა უნდა აღკვეთონ ფერადი ლითონებისა თუ სხვა ბაჟდაუდებელი საქონლის რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანა. ჩვენ ასეთი დავალება საგზაო პოლიციისათვის არ მიგვიცია. თურქეთში მიმავალი ავტობუსების შემოწმება და სათანადო რეაგირება საბაჟო სამსახურების პრეროგატივაა. ხოლო საგზაო პოლიციას უფლება აქვს გააჩეროს ავტობუსი, თუ მძღოლი გზებზე მოძრაობის წესებს არღვევს.

მივმართავ ჩემს თანამოქალაქეებს თხოვნით: თუ რესპუბლიკის ცენტრალურ ავტომაგისტრალებზე მძღოლის, მგზავრის, ტვირთის მფლობელის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან პირად ქონებას ხელყოფენ დამნაშავე ელემენტები, მაშინვე მიმართონ საგზაო პოლიციის უახლოეს საგუშაგოს, სადაც კანონით გათვალისწინებული წესით იქნება მიღებული ბოროტმოქმედთა დასაკავებლად და დაზარალებულთა ინტერესების დასაცავად. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საგზაო პოლიციის თანამშრომლები თვითნებურად ჩაიდენენ უკანონო ქმედებას, ვთხოვთ ყველას, მიმართონ სამეთაურო პუნქტებში ლეგიონის ხელმძღვანელობას ან შეძლებისდაგვარად სპეციალური ლეგიონის და საგზაო პოლიციის სამმართველოს ხელმძღვანელობას.

ზულიკო მარკოზაშვილი.

კრიმინალური ქრონიკა

როგორ ვუშველოთ ნავთობსადენებს

რესპუბლიკაში შექმნილმა მწვავე ენერგეტიკულმა დეფიციტმა, ნავთობპროდუქტების ზრდილმა ფასებმა ნავთობსადენებზე სისტემატური თავდასხმა და მათი დაზიანება გამოიწვია. მარტო სამგორი-ბათუმის ნავთობსადენზე 1992 წელს და 1993 წლის პირველ კვარტალში განხორციელებული თავდასხმით, დაზიანებითა და ნავთობპროდუქტების დაღვრა-დატაცებით სახელმწიფოსათვის მიყენებულმა მატერიალურმა ზარალმა 172 მილიონ მანეთს გადააჭარბა, ხოლო იმ მიზეზით, რომ რესპუბლიკა ვერ უზრუნველყოფს სამგორი-ბათუმის ნავთობსადენის სრული დატვირთვით ექსპლოატაციას, ბიუჯეტი ყოველწლიურად 7 მილიონ დოლარს კარგავს. სწორედ სადენებიდან ნავთობპროდუქტების დატაცებით შექმნილ საგანგაშო მდგომარეობაზე იყო საუბარი შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ თათბირზე, რომელიც ამას წინათ გაიმართა.

ლანჩხუთის რაიონში, მდინარე სუფსის მარცხენა ნაპირზე ბოროტმოქმედებმა დააზიანეს სარემონტო ვენტილი, რამაც გამოიწვია დიდი რაოდენობის ნავთობის დაღვრა. ხანძარი გაუჩნდა ტყეს, გავერანდა სახნავ-სათესი მიწები და მდინარე სუფსიდან ნავთობი ზღვაში ჩაედინა. გასულ წელს ხარაგაულის რაიონის ტერიტორიაზე ნავთობსადენიდან გამოაძვრეს საცობი, რასაც მოჰყვა დიდი რაოდენობის დიზელის საწვავით მდინარე ძირულას გაბინძურება.

ნავთობპროდუქტების დატაცებამ განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი მიიღო ზესტაფონის, ხაშურის, ხარაგაულის, ქარელისა და ლანჩხუთის რაიონებში. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობამ წელს, იანვარში ორჯერ დაავალა რაიონულ განყოფილებებს გაეძლიერებინათ ამ სახის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. ლანჩხუთის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსს გურამ ჩხაიძეს კი არავითარი ზომები არ მიუღია, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 28 თებერვალს მას მიმართა ქუთაისის სახაზო საწარმოო სადისპეტჩერო სადგურის უფროსმა ი. დვალიშვილმა მდინარე სუფსის მარცხენა ნაპირზე, ნავთობსადენის დაზიანებისა და დიდძალი საწვავის დატაცება-დაღვრის ფაქტზე რეაგირებისათვის.

1992 წლის დეკემბერში გორის რაიონის ტერიტორიაზე დადგენილ იქნა ნავთობსადენის დაზიანებისა და ნავთობპროდუქტების დაღვრის ფაქტი, რომლისგანაც მიყენებულმა ზარალმა 2 მილიონ მანეთს გადააჭარბა. ორივე შემთხვევაში ფაქტები რეაგირების გარეშე დარჩა.

ნავთობსადენის დაზიანება გრძელდება, მაგრამ ამ ბოლო ხანებში პოლიციამ გააქტიურა მუშაობა. ზესტაფონის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ აღძრული იქნა 20 სისხლის სამართლის საქმე, საიდანაც უმრავლესობა უკვე გახსნილია.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ თათბირზე იმსჯელეს ნავთობპროდუქტების დატაცების აღმოფხვრის გზებზე. გამოიკვეთა აზრი, რომ პოლიცია რეაგირებას მოახდენს ყველა დანაშაულის ფაქტზე და მიიღებს ზომებს მათ გასახსნელად. ითქვა ისიც, რომ მარტო პოლიციას დღეს არ შესწევს ძალა, რომ დაიცვას საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნავთობსადენები. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება დააყენონ საკითხი რესპუბლიკის მთავრობის წინაშე ნავთობსადენის მაგისტრალების დაცვის მიზნით, სპეციალიზებული საუწყებო სამსახურის ჩამოყალიბების შესახებ.

ვასილ კავილაძე,
შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის თანამშრომელი.

ქალი ქურდი და ყაჩაღი?!.

ცხოვრება გაუკუღმართდა. ბევრი სასწაული და საინტერესო ხდება ჩვენს გარშემო. ისე შეიცვალა სიტუაციები და მასთან ერთად ადამიანები, აღარაფერი გვიკვირს. მაგრამ ქალების ყაჩაღობაში, ქურდობაში მონაწილეობა ზნეობის ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს მორიგე საგულდაგულოდ ინიშნავდა მიღებულ ინფორმაციას.

ერთ-ერთ ბინაში იმყოფებოდნენ გვარდიის ფორმაში გამოწყობილი მოქალაქეები, ეზოში კი სამი გატაცებული, ანუ დაყაჩაღებული ავტომანქანა „რაფი" იდგა. მისამართის ჩაწერა მოასწრო მხოლოდ, ყურმილში წყვეტილი ზარი გაისმა.

სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა გელა კვითელიშვილმა, ოთარ მიქაძემ, ალეკო ზუმბურიძემ, დიმიტრი ქვაჭრელიშვილმა და კობა მურვანიძემ ოპერატიულად იმოქმედეს.

საღამოს ექვსი საათია. ეზო მიათვალ-მოათვალიერეს. მანქანები ადგილზე იყო. უსიტყვოდ გადახედეს ერთმანეთს. ოთახში ბლომად აღმოჩნდნენ. წინააღმდეგობა არავის გაუწევია. [illegible] მიიყვანეს პოლიციაში. ავტომანქანებთან ერთად ავტომატიც იქნა ამოღებული.

ეგონათ ჩვეულებრივ ყაჩაღურ ჯგუფთან გვექნება საქმეო, მოვლენები სხვაგვარად დატრიალდა, ქალების „აქტიური პოზიცია" გამოიკვეთა.

ინგა ატიკოს ასულმა რაზმაძემ და ევგენია ალექსის ასულმა თვალურმა ორ ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად 20 თებერვალს ყაჩაღური თავდასხმა მოაწყვეს გიორგი ავაქოვზე, რომელსაც წაართვეს მასზე გაპიროვნებული ა.მ. „რაფი". როგორც ძიებისას გაირკვა, თავდასხმისას ქალბატონებს ძალიან „უყოჩაღნიათ", ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენეს დაზარალებულს. დანარჩენი ორი ავტომანქანის მფლობელი ჯერჯერობით დაუდგენელია. ამოღებული ავტომატის ბედიც.

გვიან ღამით ბოროტმოქმედებმა კარები შემოტეხეს და გაძარცვეს კურორტ აბასთუმანში მდებარე სანატორიუმ „ზეკარის" სურსათის საწყობი და წაიღეს 4 ტომარა შაქრის ფხვნილი, 4 ტომარა ვერმიშელი, 6 ყუთი რძის ფხვნილი და სხვადასხვა სურსათი.

ადიგენის პოლიციის თანამშრომლებმა ზაზა დემეტრაძემ, მერაბ ჩიჩუამ და რეზო ბურდულაძემ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მეორე დღეს დააკავეს სანატორიუმის [illegible], 45 წლის ციური თუთაშვილი, დამხმარე ლილი ბოლქვაძე, სანატორიუმ „ზეკარის" ბუფეტის მიმტანი, 34 წლის ზაირა ანტონოვა და ლამარა ბესტავაშვილი. ნივთმტკიცებები ამოღებულია, ბოროტმოქმედებმა დანაშაული აღიარეს.

ადიგენის პოლიციაში სწორედ მაშინ დავრეკეთ, როცა ქალბატონები დაკითხვაზე მყავდათ: სოციალურმა პირობებმა გვაიძულა, თქვეს, შვილები შიმშილით ვეხოცებოდაო, ცრემლად ღვრებოდნენ ქალები. ადვილი დასაჯერებელია დღევანდელ სიტუაციიდან გამომდინარე, მაგრამ ცუდი გზა, მით უფრო ქურდობა, არასოდეს ყოფილა გაჭირვებიდან თავის დაღწევის საშუალება.

ძიება ახალი დაწყებულია. მოკვლევისას კიდევ ბევრი საინტერესო გაირკვევა ალბათ. დღესდღეობით კი ყაჩაღი ქალები თავდებში არიან გაშვებულნი. შეიცოდა პოლიციამ მცირეწლოვანი შვილების დედა.

მაია მოსიძე.

ხსოვნა

ჯუსტან ხაბულიანი

რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს რიგებს კიდევ ერთი თანამშრომელი გამოაკლდა. უდროოდ წავიდა ჩვენგან ბოლნისის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე, პოლიციის კაპიტანი ჯუსტან ურას ძე ხაბულიანი.

იგი დაიბადა 1957 წელს ლენტეხის რაიონის სოფ. [illegible]. იქვე დაამთავრა საშუალო სკოლა. შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტი და 1981 წელს სამუშაოდ მოვიდა შინაგან საქმეთა ორგანოებში.

მიუხედავად ამ ორგანოებში მუშაობის ხანმოკლე პერიოდისა, მან უკვე დაიმსახურა უშიშარი, საქმიანი და სამართლიანი პიროვნების სახელი.

მისმა მოულოდნელმა წასვლამ გული დასწყვიტა მის ახლობლებს და კოლეგებს. ოჯახმა დაკარგა ყურადღებიანი მეუღლე და მზრუნველი მამა.

ჯუსტან ხაბულიანის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მის ნათესავებსა და მეგობრებს შორის.

შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ორგანიზაცია აწარმოებს:
საბროკერო და სადილერო მომსახურებას კავკასიის ბირჟაზე: თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის ყიდვა-გაყიდვას რუსეთის მანეთების მეძენას კუპონებზე და ასევე პირიქით, ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ თქვენი წარმომადგენელი კავკასიის ბირჟაზე და დაგეხმაროთ, სხვადასხვა საბანკო ოპერაციებში მინიმალური ფასის საზღაურად 0,3-2% ჩატარებული ოპერაციის თანხის მიხედვით.

ჩვენი ტელეფონები: 34-16-39, 34-14-72

საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსალტი"

24 საათის განმავლობაში ყველაზე დაბალ ფასებში დაგიმზადებთ ერთი პირის საწარმოს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების, აგრეთვე სხვა ფორმის საწარმოთა სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და გაგიწევთ სათანადო კონსულტაციას.

ფირმის მისამართია: ქ. თბილისი, ლერმონტოვის ქ. 18 (თავისუფლების მოედანთან), მე-4 სართული (12-დან 16 საათამდე).

ტელეფონი: 99-03-76.

საბროკერო ფირმა „666" შეიძენს ორგანიზაციებისაგან და კერძო პირებისაგან „კავკასიის ბირჟის" აქციებს.

ტელეფონები: 93-74-02, 10 სთ-დან 17 სთ-მდე, 93-30-86, 98-08-94, 99-58-20, 18 სთ-ის შემდეგ.

მამაკაცებო!

ფირმა „[illegible]"-ს სამედიცინო კაბინეტში დანერგილი ლაბორატორიული გამოკვლევები და მკურნალობის კომპლექსური საშუალებები იძლევა მაღალეფექტიანად განკურნოთ პროსტატიტი, იმპოტენცია (მამაკაცის სქესობრივი უძლურება) პაციენტის ასაკის მიუხედავად. მკურნალობა ანონიმურია.

მიღება: სამუშაო დღეებში 16 სთ. 30 წთ.-დან 18 სთ-მდე. შაბათ-კვირას — 10 სთ-დან 12 სთ-მდე.

ჩვენი მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზირი (ყოფილი პავლოვის ქუჩა) ბინა № 8. (მეტრო „დელისთან". ყოფილი მე-28 პოლიკლინიკა) 1-ლი სართული.

ტელ.: 39-24-83.

მარცხიანი სტარტი

ბუდაპეშტში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა ევროპის პირველი ჩემპიონატის ერთ-ერთი შესარჩევი ტურნირი, რომელშიც ასპარეზობენ საქართველოს, უნგრეთის, სლოვენიის, ლიტვისა და ნორვეგიის ნაკრები გუნდები. ამ ჯგუფიდან ფინალში გამარჯვებული გავა.

პირველი შეხვედრა ჩვენმა სპორტსმენებმა მასპინძლებთან გამართეს და დამარცხდნენ — 15:22. ქართველთაგან შედეგიანად ითამაშა თოიძემ, რომელმაც 10 გოლი გაიტანა (აქედან 4 — პენალტით).

ტურნირი ტურნირს ცვლის

ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 18 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიოს და 20 წლამდე ასაკის ჭაბუკთა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ტურნირები.

გოგონათა დავა 4-4 ქულით დაასრულეს გამარჯვებულებმა ნატო ეძგვერაძემ და ინგა ხურცილავამ. კოეფიციენტთა უკეთესი მაჩვენებლებით პირველობა და თანატოლთა შორის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის ერთადერთი საგზური წილად ხვდა ნატო ეძგვერაძეს.

ჭაბუკთა ჩემპიონი — ზურაბ ეგრიაშვილი (9 ქულა) საქართველოს სახელით ითამაშებს მსოფლიო ჩემპიონატში, ხოლო ვერცხლის პრიზიორი — მიხეილ კალაძე (8 ქულა) ევროპის პირველობაზე გაემგზავრება.

იქვე მოეწყო საქართველოს უნივერსიადის საზეიმო გახსნა. საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრმა თამაზ კვაჭანტირაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა და სხვებმა ჯერ დაულოცეს სტუდენტებს მომავალი ორთაბრძოლების მონაწილეებს და წარმატებები უსურვეს მათ.

უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებული მოჭადრაკეთა შეჯიბრება (მთავარი მსაჯი — საერთაშორისო არბიტრი თენგიზ გიორგაძე) ამავე დროს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების გუნდურ ჩემპიონატს წარმოადგენს. გამარჯვებული წლის ბოლოს ბულგარეთში მონაწილეობას მიიღებს სტუდენტთა სპორტული კლუბების მსოფლიო გუნდურ პირველობაზე.

თითოეულ გუნდში 3 ვაჟი და 1 ქალია.

„ეგნატე ნინოშვილი" არ მოუპარავთ!

ამ რამდენიმე დღის წინათ პრესაში გაჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ რუსთაველის პროსპექტზე კომუნარების ბაღის შესასვლელთან აღმართული ეგნატე ნინოშვილის ძეგლი უკვალოდ გაქრა.

დავინტერესდით, თუ რა ბედი ეწია „გოგია უიშვილის" ავტორის ქანდაკებას და გავესაუბრეთ თბილისის კულტურის სამმართველოს უფროსის მოადგილეს ბადრი ქუთათელაძეს.

ეს ძეგლი, გვითხრა ბ. ქუთათელაძემ, ერთ-ერთი უნიკალური და უძველესია საქართველოში. იგი 1923 წელს დაიდგა თბილისში და შექმნილია იაკობ ნიკოლაძის მიერ პარიზში როდენთან მუშაობისას.

საბედნიეროდ, ეგნატე ნინოშვილის ძეგლი არავის მოუპარავს (რაც არც ისე გასაკვირი იქნებოდა დღევანდელ საქართველოში). იგი მოხსნილი კვარცხლბეკიდან და რახან მისი რესტავრაციაა განზრახული, ქანდაკება დროებით მხატვრის სახლში გადაიტანეს. ეს იმანაც განაპირობა, რომ რუსთაველის პროსპექტზე აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს და ძეგლს მტვერი და ჭუჭყი ეფარება. ცოტა ხანში, ცხადია, ძეგლი თავის ადგილს დაიკავებს.

ინგა სტორელი.

სახელმწიფო შემნახველი ბანკი საქართველოს ყველაზე დიდი კომერციული ბანკია.

მისი განყოფილებები და ფილიალები განლაგებულია რესპუბლიკის ყველა ქალაქში, რაიონში და ათასზე მეტ სოფელში.

შემნახველი ბანკი აწარმოებს თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის შესყიდვას, კლიენტებისათვის ხელსაყრელი საბაზრო კურსით და ვალუტის კონვერსიას მინიმალური საკომისიო გასამრჯელოს საფასურად.

ამასთან, უცხოეთში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც შემნახველი ბანკის დაწესებულებებს მიჰყიდიან უცხოურ ვალუტას, რჩებათ უკუკონვერსიის უფლება.

გახსოვდეთ!

სახელმწიფო კომერციულ შემნახველ ბანკთან თქვენს მიერ წარმოებულ ოპერაციებს კანონიერების გარანტია აქვთ, ასევე კანონითაა დაცული მათი საიდუმლოება.

ერიდეთ შემთხვევით პირებსა და შუამავლებს!
ისარგებლეთ შემნახველი ბანკის ფართო ქსელის საიმედო მომსახურეობის უპირატესობით!

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემნახველი ბანკის გამგეობას მისამართზე: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №37, ტელეფონები: 95-57-01, 99-95-62 და შემნახველი ბანკის განყოფილებებსა და სამმართველოებს: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავში, ფოთში, გორში, კასპში, ქობულეთსა და ახალციხეში.

საქართველოს რესპუბლიკის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ

მივმართავთ რესპუბლიკის იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ორგანიზაციაში აქვთ გადარიცხული თანხები, ან მიწოდებულ პროდუქციაზე ერიცხებათ დებიტორიული დავალიანებები, გადმოსცენ ეს თანხები სახელმწიფო კონცერნ „საქნავთობპროდუქტს" კონცერნის ანგარიშზე ქ. მოსკოვში. სამაგიეროდ კონცერნი „საქნავთობპროდუქტი" სთავაზობს ამ ორგანიზაციებს, მიაწოდოს შესაბამისად ნავთობპროდუქტები მათი მოთხოვნით, ან ჩაურიცხოს იგივე თანხები ანგარიშზე.

ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. № 142, კონცერნი „საქნავთობპროდუქტი", ტელ: 34-41-74, 34-46-87.

კონცერნი „საქნავთობპროდუქტი".

ერთი პირის სავაჭრო კომერციული ფირმა „ბა[illegible]"-ს ტურისტული ბიურო [illegible] გთავაზობთ: ტურისტულ მოგზაურობას შემდეგ ქვეყნებში: უნგრეთი, რუმინეთი, სლოვაკია, იუგოსლავია, საბერძნეთი, იტალია, საფრანგეთი.

ცნობებისათვის დარეკეთ: 93-90-84, 25-11-82.

ყურადღება!

მიმდინარე წლის 23 აპრილს დღის 13 საათზე თბილისის [illegible] მოწვეულია სრულიად საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა კავშირის მეორე ყრილობა.

მევენახეობის მეურნეობებისა და ღვინის მრეწველობის საწარმოების, აგრეთვე დარგთან დაკავშირებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ვთხოვთ უზრუნველყონ ყრილობის დელეგატთა დასწრება.

სრულიად საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა კავშირი.

სიმღერის უკვდავება

აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში თეატრის მოღვაწეთა კავშირის თაოსნობით მოეწყო ნიკო ქუმსიაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელსაც უძღვებოდნენ ბატონი ნოდარ ანდღულაძე და ქალბატონი ზინა კვერენჩხილაძე.

საქართველოს ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხეს — ფშავს ჰყავდა პოეზიის დიდი მგოსანი — ვაჟა-ფშაველა, ხოლო ფშავის სიმღერის დიდი მგოსანი ნიკო ქუმსიაშვილი გახლდათ — ასეთი იყო ბატონ აკაკი ძიძიგურის მოგონების პათოსი.

მოგონებებით გამოვიდნენ მანანა ახმეტელი, ნათელა ურუშაძე, ანტონ წულუკიძე. თვითონ სიმღერებით საღამო დაამშვენეს პაატა ხვანიძემ, თემურ ჯუღაშვილმა, ეთერ თალაკვაძემ, ნუგზარ გამყრელიძემ, მზია დავითაშვილმა, ალიკო ხომერიკმა, რომელთაც აკომპანიმენტს უწევდნენ თემურ ილიავა, ირა ანდრიაშვილი, მარინე ხომერიკი. ნიკო ქუმსიაშვილის შესახებ ხელოვნების მოღვაწეთა გამონათქვამები წაიკითხა ეკა ქუთათელაძემ.

საღამოზე დრო და დრო ჟღერდა ნიკო ქუმსიაშვილის სიმღერები. სამწუხაროა, რომ ამ საღამოს ვეღარ ესწრებოდა დიდი ნიკოს ქალიშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი როდამ ქუმსიაშვილი, რომელიც ოცნებობდა ამ დღეზე და მამის უკვდავყოფისათვის არაერთი საღამო გამართა თბილისსა და თიანეთის ორხევში, შექმნა მემორიალური სახლი.

იზა ჯაჭვაძე.

ახალი სიცოცხლე „ქვის ქალაქში"

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი 76, ბ, საქართველოს ბავშვთა ფედერაცია — ახალგაზრდობის ფონდი „მამული".

ამ ორიოდე წლის წინ, ალბათ, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ ეს პირქუში, ცივი შენობაც (აქ სამხედრო მუზეუმი იყო) გათბებოდა. ახლა კი შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს თბილისელმა პატარებმა: საქართველოს მთავრობის, კერძოდ, ბატონ თენგიზ სიგუას განკარგულებით, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის თხოვნითა და სახელმწიფოს მეთაურის თანადგომით, მათ ეს შენობა გადაეცათ, სადაც დაბინავდა საქართველოს ბავშვთა ფედერაცია, რომლის ბაზაზეც უახლოეს მომავალში განზრახულია საბავშვო ჰობიცენტრის შექმნა.

ახალი წლის დღეებში პატარებმა აქ საახალწლო ნაძვისხის ზეიმი მოაწყვეს. საპატიო სტუმართა შორის უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანდებოდა. მან აკურთხა აქაურობა და ამ დღიდან იწოდება კიდეც საქართველოს ბავშვთა ფედერაცია წმინდა ბარბარეს სახელობის ორგანიზაციად.

უკვე მოქმედებს წმინდა ბარბარეს სახელობის ოთახი, მალე გაიხსნება საკვირაო სკოლა ბავშვებისათვის, აპროექტებენ ეკლესიას, რომელიც აქვე, ეზოში აიგება, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა დემურ დვალიშვილმა ფინანსური დახმარებაც აღუთქვა კარგი საქმის ინიციატორებს.

წმინდა ბარბარეს სახელობის საქართველოს ბავშვთა ფედერაციის დარბაზებში ნაყოფიერად მუშაობენ სექციები, „მასტი-ბუ-ბუ" აქ მოღვაწეობს. სრული დატვირთვით მუშაობს კინოდარბაზი, სადაც ყოველ შაბათსა და კვირას, საინტერესო საბავშვო და საყმაწვილო ფილმებს უჩვენებენ.

უწმინდესისა და უნეტარესის იდეა იყო, ამ შენობის ეზოში ქართული სახელოსნო საქმის აღორძინება. სულ მალე აქ გაიხსნება სადურგლო და საოქრომჭედლო სახელოსნოები, სადაც ისწავლიან პატარა ოსტატები. ფორმირების პროცესშია კომპიუტერული სკოლაც, რომლის ბაზაზეც კომპიუტერული ცენტრი შეიქმნება.

ახლახან, საქართველოს ბავშვთა ფედერაცია (თავმჯდომარე კობა გილაშვილი) და საქართველოს ახალგაზრდობის ფონდი „მამული" (პრეზიდენტი ლაშა კიკალეიშვილი) ერთ ორგანიზაციად გაერთიანდნენ და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ ორივე ორგანიზაციის მიზანი ერთია — ზრუნვა მომავალი თაობისათვის.

დღეს უკვე ბავშვებისთვის ემზადებიან ამ შენობის მესვეურნი, მიმდინარეობს ეზოს განაშენიანება და კეთილმოწყობა, დაიდგმება საზაფხულო პავილიონები, კარუსელები, გაიხსნება საბავშვო კაფე.

„საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებმა იციან, რომ საქართველოს ბავშვთა ფედერაცია-ახალგაზრდობის ფონდ „მამულთან" შეიქმნა საერთაშორისო ახალგაზრდობის ცენტრი, რომლის საპატიო პრეზიდენტია ამერიკის პრეზიდენტის მეუღლე, ქალბატონი ჰილარი კლინტონი. ამ ცოტა ხნის წინ, ბატონი ზურაბ წერეთლის პრეზიდენტის ოჯახში სტუმრობისას განაცხადა ქალბატონმა ჰილარი კლინტონმა თანხმობა იყოს საერთაშორისო ახალგაზრდობის ცენტრის საპატიო პრეზიდენტი, მის პრეზიდენტთან, ბატონ ზურაბ წერეთელთან ერთად.

უდავოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნისათვის [illegible] ჟამს სწორედ თბილისში გადაწყდა ცენტრის დაარსება. მასში უკვე 40-მდე ქვეყანა გაერთიანდა. მალე მოაწყობენ ცენტრის პრეზენტაციას, რომელსაც ორმოცივე ქვეყნის წარმომადგენლები დაესწრებიან.

ნინო ქაფთარაძე.

• • •

სურათზე: ამ შენობაში საქართველოს ბავშვთა ფედერაცია-ახალგაზრდობის ფონდი „მამული".

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0486.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

შეკვეთა 65184